where A and D are averaged square functions of wave characteristics. $\frac{\partial A}{\partial t}$ - term of the equation

describes non-stationarity, ∇F points to non-conservativeness, the last term characterizes nonlinearity. It's obvious that equality of divergence of vector to null is easier requirement than solution of mean flow energy equation. Therefore this vector is used to study the nature of "Slow Modified" waves. The mentioned approach allows to introduce quasi invariant integral characteristic in case of "Slow Modified" wave disturbance in case of zonal flow advantage on the Caucasus territory. With this averaging period is taken of decadal value based on synoptic practice. Indeed on the territory of Caucasus ten or more cyclonic or anti-cyclonic vorticities of diurnal period with zonal propagation tendency occur quite often [1, 2, 3].

The problem:

Considering the hydrothermodynamical equations system for barotropic atmosphere the earth surface orography influence in $\sigma = \frac{p}{p_s(x, y, z)}$ coordinates system is as follows [1, 3, 5]:

$$\frac{\partial u}{\partial t} + u \frac{\partial u}{\partial x} + v \frac{\partial u}{\partial y} - ev + \frac{\partial \Phi}{\partial x} - R\bar{T} \frac{\partial \ln p_s}{\partial x} = 0, \quad (1)$$

$$\frac{\partial v}{\partial t} + u \frac{\partial v}{\partial x} + v \frac{\partial v}{\partial y} - eu + \frac{\partial \Phi}{\partial y} - R\bar{T} \frac{\partial \ln p_s}{\partial y} = 0 \quad (2)$$

$$\frac{\partial \Phi}{\partial t} + \frac{\partial(u\tilde{\Phi}_s)}{\partial x} + \frac{\partial(v\tilde{\Phi}_s)}{\partial y} = 0, \quad (3)$$

where p is atmospheric pressure; p_s – surface pressure; x, y, σ – coordinate axes; u, v – wind speed horizontal and vertical projections towards x and y axes, accordingly; t – time; $l = 2\omega \sin \phi$ – Coriolis parameter, ϕ – latitude; ω – angular velocity of the earth rotation around its axis; Φ – geopotential; R – universal gas constant; $\tilde{\Phi} = \Phi - \Phi_s$, Φ_s – value of geopotential.

Several conservative quantities are introduced.

Conservation of total energy:

After representing the last terms of equations (1) and (2) in a way: $RT \frac{\partial \ln P_s}{\partial x}, RT \frac{\partial \ln P_s}{\partial y}$ (4), multiplying equation (1) on u , (2) on v , (3) on $(\frac{u^2 + v^2}{2} + \tilde{\Phi})$ and summing, the final equation will be as follows:

$$\frac{d}{dt} \left(\frac{u^2 + v^2}{2} + \tilde{\Phi} \right) \tilde{\Phi} = - \left(u \frac{\partial \tilde{\Phi}}{\partial x} + v \frac{\partial \tilde{\Phi}}{\partial y} \right) \tilde{\Phi} - \tilde{\Phi} \left(\tilde{\Phi} + \frac{u^2 + v^2}{2} \right) D \quad (5),$$

where D is a plain divergence.

Let's mark

$$E_0 = \tilde{\Phi} \frac{u^2 + v^2 + \tilde{\Phi}}{2} \quad (6),$$

then (5) will be written like this:

$$\frac{\partial E_0}{\partial t} + \frac{D(uE_0)}{\partial x} + \frac{\partial(vE_0)}{\partial y} + \frac{1}{2} \left[\frac{\partial}{\partial x} (U\tilde{\Phi}^2) + \frac{\partial}{\partial y} (v\tilde{\Phi}^2) \right] = 0 \quad (7)$$

Integrating this equation on S square, we get:

$$I = \int_S \tilde{\Phi} \frac{u^2 + v^2 + \tilde{\Phi}}{2} dS \quad (8)$$

This integral is conserved in barotropic atmosphere despite the solution method of initial equations system.

Quasi invariant quantities:

Multiplying equation (1) on u , (2) on v and equation of continuity on $R\bar{T}$, written in σ coordinate system in a form of:

$$\frac{d \ln p_s}{dt} = - \left(\frac{\partial u}{\partial x} + \frac{\partial v}{\partial y} \right) \quad (9),$$

after summing up we get

$$\frac{d}{dt} \left(\frac{u^2 + v^2}{2} + R\bar{T} \ln p_s \right) = -u \frac{\partial \Phi}{\partial x} - v \frac{\partial \Phi}{\partial y} - \left(\frac{\partial u}{\partial x} + \frac{\partial v}{\partial y} \right) R\bar{T} - RTu \frac{\partial \ln p_s}{\partial x} - R\bar{T}v \frac{\partial \ln p_s}{\partial y}$$

Indicating $R\bar{T} \ln p_s = -\Phi_s$ and for middle level atmosphere, where $D=0$, we get:

$$\frac{d}{dt} \left(\frac{u^2 + v^2}{2} - \Phi_s \right) = \vec{v} \cdot R\bar{T} \vec{\nabla} \ln p_s + \vec{v} \vec{\nabla} \Phi \quad (10)$$

If the right part

$$\vec{v} \cdot R\bar{T} \vec{\nabla} \ln p_s + \vec{v} \vec{\nabla} \Phi = 0 \quad (11),$$

where \vec{v} is a mean wind speed, $\vec{\nabla}$ – gradient, then the value

$$E = \frac{u^2 + v^2}{2} - \Phi_s \quad (12)$$

is conserved.

E value in its physical meaning coincide with Eliasen-Palm F vector for so-called “Slow Modified” flow. Both sides changes of equation (10) have been checked for one-two days and it turned out that changes of total energy E of (10) left side are by one or two lines less than of (11) (table 1). Hence (12) can be taken as an invariant of “Slow Modified” flow and could be named as quasi invariant quantity.

Using (1), (2), (9) and static equation and according to stationary rule it can be admitted the equation of wind speed vortex: $\Omega_z = \frac{\partial V}{\partial x} - \frac{\partial U}{\partial y}$ [3, 5]. From

$$\frac{d}{dt}(\Omega + l) + (\Omega + l) \frac{d \ln p_s}{dt} = 0 \quad (13)$$

it's clear that:

$$\frac{(\Omega + l)}{p_s} = const \quad (14),$$

so in this model potential vortex is an conservative quantity. If (13) is written considering the orography we get [1, 3, 5]:

$$\frac{d}{dt}(\Delta\Phi + l^2(1 - \ln p_s)) = b \frac{\partial}{\partial x}(\sigma \frac{\partial \Phi}{\partial \sigma}) - a \frac{\partial}{\partial y}(\sigma \frac{\partial \Phi}{\partial \sigma}) \quad (15),$$

where $\Delta\Phi = \Omega_z$; Δ - plain Laplasian; $a = -\frac{\partial \ln p_s}{\partial x}$; $b = -\frac{\partial \ln p_s}{\partial y}$ - mountain influence

characteristic parameters along longitude, latitude, accordingly. The right side of equation (15) for non - strong baroclinic processes, for symmetric mountain ranges as well is equal to 0. It means that the value

$$\Delta\Phi + l^2(1 - \ln p_s) = const$$

i.e.

$$z = \Delta\Phi + K^2\Phi_s = const \quad (16),$$

where $K^2 = \frac{l^2}{RT} = 0,12 \cdot 10^{-11} \frac{1}{m^2}$. Thus we got again quasi invariant z , truth of which was checked on real material [5]. The given quasi invariants (12) and (16) should be checked for numerical prognostic schemes in case of orography influence that is considered and can also be used as characteristic of stability of computing schemes.

Values of diurnal changes of the right side of equation (15) and z value are given in table 1. It shows that expression in the right side of equation (15) is at least by one order less then z value variation during the same period. Hence, truth of (16) can be accepted by first approximation.

Values of diurnal relative variation of both sides of formula (15) also have been estimated for air masses four determinant synoptic situations on the Caucasus region. Initial field was taken

from AT_{500} isobaric surface map according to July 1988. The material was taken in rectangular grid node points with the centre in Tbilisi (5X5 point quantities are given in the table), horizontal step of 250 km. An assessment has been carried out in 100 node points. From the data it is clear that the value is well conserved (1-1.5% accuracy).

From synoptic point of view in conditions of “Slow Modified” flow zonal shift with meridian expansion becomes predominant on Caucasus territory as it can be seen from the structure of isohypsies of geopotential field on the isobaric surface AT_{500} (fig. 1). The very processes in global scales are described by Eliasen-Palm vector [3]. Such coincidence of global and regional processes is observed for the first time. The same phenomenon has been proved by influence functions of atmospheric geopotential field constructed according to baroclinic model in the so called ξ coordinate system (fig. 1).

Thus according to given examples it turned out, that in case of “Slow Modified” flow transference of air masses over Caucasus territory occurs along the meridian direction by analogy with global processes where the model is described by Eliasen-Palm vector. It must be noted that under the relief influence isolines are shifting and extending along Big and Little Caucasus Ranges, which is physically reasonable.

3. Conclusion

A conclusion can be drawn: the given quasi-invariants are conserved with a fair accuracy when “Slow Modified” air flow propagation takes place over Caucasus territory. Of course their application allows not only to precise quality of forecast but also assess properly the criteria of numerical schemes stability as well.

References

1. Khvedelidze Z. Dynamical Meteorology. Tbilisi State University. p.p. 528. 2002.
2. Khvedelidze Z., Pavlenishvili N. Description of Energetic Characteristics of Atmospheric Processes on the example of Caucasus Region. Meteorology and Hydrology, #2, p.p. 48-53, 1996.
3. Modelling of Atmosphere Flown Fields. World scientific Theoretical Physics. London. p.p.755, 1996.
4. Eliasen A and Palm. On the Transfer of Energy in Stationary Mountain Waves. Geophys. Norv. 22. #3, p.p. 1-23, 1961.
5. Khvedelidze Z., Danelia R., Shalamberidze T., Aplikov R., Tagvadze E. Mathematical Modelling of Wave Disturbance Caused by the Earth Local Relief and Its Influence on Atmospheric Phenomena. International Scientific-Technical Informational-Analytical Journal “Georgian Oil and Gas”, #21. p.p. 64-70.
6. Khvedelidze Z., Davitashvili T., Samkharadze I. Mathematical Modelling of Hydro- Aerial Flows in Narrow Ravines considering Bottom Relief. Ecological Systems and Devices. #5, p.p. 60-66, 2007.

რეგიონელური გრავიტაციული აღმალის ოდენობის ინტერპრეტაციის მეთოდების შესახებ

წარდგენილია საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ბ. ბალაგაძის მიერ

მოცემულია დედამიწის ქერქის აღნაგობის კვლევის მეთოდების მოკლე მიმოხილვა და პირველადაა წარმოდგენილი აკად. ბ. ბალაგაძის მიერ შემუშავებული რეგიონალური გრავიტაციული ანომალიის ოდენობითი ინტერპრეტაციის ფორმულის

$$\Delta g = \sum_{i=1}^n (\sigma_i - \sigma_0) a_i + (\sigma^I - \sigma_0) b + (\sigma^{II} - \sigma^I) c + 2\pi f (\sigma^I - \sigma_0) (H_2 - H_1)$$

მიღების წესი.

რეზერვატი: შრომაში პირველადაა მოცემული აკად. ბ. ბალაგაძის მიერ შემუშავებული ფორმულის

$\Delta g = \sum_{i=1}^n (\sigma_i - \sigma_0) a_i + (\sigma^I - \sigma_0) b + (\sigma^{II} - \sigma^I) c + 2\pi f (\sigma^I - \sigma_0) (H_2 - H_1)$ მიღების წესი, რომელიც მის ავტორს არ გამოუქვეყნებია.

წარმოდგენილი სტატია მეთოდური ხასიათისაა და დახმარებას გაუწევს გრავიტაციული ანომალიის ინტერპრეტაციის დარგში მომუშავე ახალგაზრდა სპეციალისტებს და მაგისტრანტებს ინტერპრეტაციის მეთოდის სრულყოფილად დაუფლებაში.

საკვანძო სიტყვები: გრავიტაციული ანომალიების კლასიფიკაცია, რეგიონალური გრავიტაციული ანომალიის კვლევის მეთოდები.

1. შესავალი




რუსული მანაგაძე,

სტუ-ს ნავთობისა და გაზის საბადლების დამუშავების, ნავთობგაზსადენებისა და ნავთობგაზსაცავების ექსპლუატაციის ასოცირებული პროფესორი

დღეისათვის, Δg სიმძიმის ძალის ანომალიის საფუძველზე, დედამიწის ქერქის აღნაგობის კვლევის მრავალი მეთოდია შემუშავებული [1, 2, 3]. ამ მეთოდებიდან ერთი ნაწილი დედამიწის ქერქის სიმძლავრის დადგენის საკითხს ეხება [4, 5, 6], ხოლო მეორე – ქერქის შემადგენელი ძირითადი ფენების გათვალისწინებით, ქერქის საერთო აღნაგობის შესწავლას ისახავს მიზნად [7, 8, 9].

Δg სიმძიმის ძალის ანომალიის ოდენობითი ინტერპრეტაციის მეთოდი ორგანზომილებიანი სხეულებისათვის, სიმკვრივეთა ერთი გამყოფი ზედაპირის შემთხვევაში, შემუშავებული იყო პროფ. ბ. ნუმეროვის მიერ [10], ხოლო ი გამყოფი ზედაპირისათვის აკად. ბ. ბალაგაძის მიერ [8], რომლის არსი შემდეგში მდგომარეობს.



გამყოფ ზედაპირთა ჩაწოლის სიღრმეების განსაზღვრის ამოცანა.

1. დანალექი წყება; 2. გრანიტული ფენა; 3. ბაზალტური ფენა; 4. სიმკვრივეთა გამყოფი ზედაპირები

2. ძირითადი ნაწილი

დედამიწის რეალური ქერქის მასებით გამოწვეული $\Delta g_{\text{ს}}$ სრული გრავიტაციული ეფექტი, რომელიც დედამიწის ზედაპირსა და სიმკვრივეთა ძირითად გამყოფ S_i ზედაპირებს შორის მდებარეობს (იხ. ნახატი), ორგანზომილებიანი ამოცანის შემთხვევაში, შეიძლება ჩაიწეროს შემდეგნაირად [11]:

$$\Delta g_{\text{ს}} = 2f \sum_{i=1}^n \left[\sigma_i \int_{-\infty}^{\infty} \int_0^{Z_i(x)} \frac{\zeta}{\xi^2 + \zeta^2} d\xi d\zeta \right] \quad (1)$$

სადაც σ_i დედამიწის ქერქის შემადგენელი ძირითადი ფენების (დანალექი წყების შრეების, გრანიტული და ბაზალტური ფენების) სიმკვრივეებია, ხოლო $Z_i(x)$ – ამ ფენების ფუძეთა სიღრმეები ზღვის დონიდან.

ამჯერად, თუ დანალექი წყების შრეების სიმკვრივეებს აღვნიშნავთ σ_i -თი, ხოლო გრანიტული და ბაზალტური ფენებისას – σ_0 და σ' , მაშინ (1) ფორმულიდან გვექნება:

$$\Delta g_{\text{ს}} = 2f \sum_{i=1}^n \sigma_i \int_{-\infty}^{\infty} \int_0^{h_i(x)} \frac{\zeta d\xi d\zeta}{\xi^2 + \zeta^2} + 2f\sigma_0 \int_{-\infty}^{\infty} \int_0^{Z_1(x)} \frac{\zeta d\xi d\zeta}{\xi^2 + \zeta^2} + 2f\sigma' \int_{-\infty}^{\infty} \int_{Z_1(x)}^{Z_2(x)} \frac{\zeta d\xi d\zeta}{\xi^2 + \zeta^2} \quad (2)$$

სადაც $h_i(x)$ დანალექი წყების შრეებია; $Z_1(x)$ და $Z_2(x)$ – გრანიტული და ბაზალტური ფენების ფუძის ზედაპირების ჩაწოლის სიღრმეები, შესაბამისად.

თუ გრანიტული და ბაზალტური ფენების ფუძეთა ზედაპირების საშუალო სიღრმეს აღვნიშნავთ H_1 და H_2 (იხ. ნახ.), მაშინ (2) ფორმულა შეიძლება ჩაიწეროს შემდეგი სახით:

$$\begin{aligned} \Delta g_{\text{ს}} = & 2f \sum_{i=1}^n \sigma_i \int_{-\infty}^{\infty} \int_0^{h_i(x)} \frac{\zeta d\xi d\zeta}{\xi^2 + \zeta^2} + 2f\sigma_0 \int_{-\infty}^{\infty} \int_{h_i(x)}^{H_1} \frac{\zeta d\xi d\zeta}{\xi^2 + \zeta^2} + \\ & 2f\sigma_0 \int_{-\infty}^{\infty} \int_{H_1}^{Z_1(x)} \frac{\zeta d\xi d\zeta}{\xi^2 + \zeta^2} + 2f\sigma' \int_{-\infty}^{\infty} \int_{H_1}^{H_2} \frac{\zeta d\xi d\zeta}{\xi^2 + \zeta^2} + 2f\sigma' \int_{-\infty}^{\infty} \int_{H_2}^{Z_2(x)} \frac{\zeta d\xi d\zeta}{\xi^2 + \zeta^2}. \end{aligned} \quad (3)$$

დედამიწის რეალური ქერქის სრული გრავიტაციული ეფექტის ნორმალურ (სტანდარტულ) და ანომალურ მდგენელებად დაყოფის მიზნით თუ შემოვიტანო აღნიშვნებს: $\Delta\sigma_i = \sigma_0 - \sigma_i$ და $\Delta\sigma = \sigma' - \sigma_0$, მაშინ $\sigma_i = \sigma_0 - \Delta\sigma_i$, $\sigma' = \sigma_0 + \Delta\sigma$ და მიღებულის გათვალისწინებით (3) ანალიზური გამოსახულებიდან გვექნება:

$$\begin{aligned} \Delta g_{\text{ს}} = & 2f \sum_{i=1}^n \left[\sigma_0 \int_{-\infty}^{\infty} \int_0^{h_i(x)} \frac{\zeta d\xi d\zeta}{\xi^2 + \zeta^2} - \Delta \sigma_i \int_{-\infty}^{\infty} \int_0^{h_i(x)} \frac{\zeta d\xi d\zeta}{\xi^2 + \zeta^2} \right] + 2f\sigma_o \int_{-\infty}^{\infty} \int_{h_i(x)}^{H_1} \frac{\zeta d\xi d\zeta}{\xi^2 + \zeta^2} + \\ & 2f\sigma_0 \int_{-\infty}^{\infty} \int_{H_1}^{Z_1(x)} \frac{\zeta d\xi d\zeta}{\xi^2 + \zeta^2} + 2f\sigma_0 \int_{-\infty}^{\infty} \int_{H_1}^{H_2} \frac{\zeta d\xi d\zeta}{\xi^2 + \zeta^2} + 2f\Delta\sigma \int_{-\infty}^{\infty} \int_{H_1}^{H_2} \frac{\zeta d\xi d\zeta}{\xi^2 + \zeta^2} + \\ & 2f\Delta\sigma \int_{-\infty}^{\infty} \int_{H_2}^{Z_2(x)} \frac{\zeta d\xi d\zeta}{\xi^2 + \zeta^2} + 2f\Delta\sigma \int_{-\infty}^{\infty} \int_{H_2}^{Z_2(x)} \frac{\zeta d\xi d\zeta}{\xi^2 + \zeta^2}. \end{aligned} \quad (4)$$

რომლის პირველი, მესამე და მეხუთე წევრების ჯამი, σ_0 სიმკვრივის და H_2 სიმძლავრის გრანიტული ფენის ეფექტს გამოსახავს [8, 9, 10] :

$$\Delta g_{\text{გ}} = 2f\sigma_0 \sum_{i=1}^n \left[\int_{-\infty}^{\infty} \int_0^{h_i(x)} \frac{\zeta d\xi d\zeta}{\xi^2 + \zeta^2} + \int_{-\infty}^{\infty} \int_{h_i(x)}^{H_1} \frac{\zeta d\xi d\zeta}{\xi^2 + \zeta^2} + \int_{-\infty}^{\infty} \int_{H_1}^{H_2} \frac{\zeta d\xi d\zeta}{\xi^2 + \zeta^2} \right] = 2\pi f\sigma_o H_2. \quad (5)$$

(4) გამოსახულების დანარჩენი ხუთი წევრით შეიძლება გამოვთვალოთ დედამიწის რეალური ქერქის ანომალიური მასების გრავიტაციული ეფექტი.

ასე, მაგალითად, (4) გამოსახულების მეორე წევრი $2f\Delta\sigma_i \int_{-\infty}^{\infty} \int_0^{h_i(x)} \frac{\zeta d\xi d\zeta}{\xi^2 + \zeta^2}$ ც ცვ-

ლადით ინტეგრირებისა და ტეილორის მწყრივად გაშლის შემდეგ $2f \sum (\sigma_0 - \sigma_i) a_i$ სახემდე დაიყვანება [11], რომელიც დედამიწის ქერქის დანალექი წყების ანომალიური მასების ეფექტს წარმოადგენს, შეიძლება გამოთვლილ იქნეს პალეოტის მეშვეობით, რომლის განხორციელების წესი მოცემულია შრომებში [8, 11, 12].

რაც შეეხება (4) გამოსახულების მეოთხე ინტეგრალურ წევრს, ის გრანიტული და ბაზალტური ფენების სიმკვრივეთა გამყოფი ზედაპირის საშუალო H_1 სიღრმეში გამავალ სიბრტყესა და CC ზედაპირებს შორის არსებული ანომალიური მასების გრავიტაციული ეფექტია (იხ.ნახ.) და მეორე წევრის მსგავსად, ასევე გამოითვლება პალეოტის მეშვეობით [8].

აგრეთვე, მსგავსად მეორე და მეოთხე წევრისა, პალეტით გამოითვლება მეშვიდე და მერვე წევრთა ჯამიც, ვინაიდან

$$2f\sigma_0 \int_{-\infty}^{Z_2(x)} \int_{H_2}^{\zeta d\xi d\zeta} \frac{\zeta d\xi d\zeta}{\xi^2 + \zeta^2} + 2f\Delta\sigma \int_{-\infty}^{Z_2(x)} \int_{H_2}^{\zeta d\xi d\zeta} \frac{\zeta d\xi d\zeta}{\xi^2 + \zeta^2} = (\sigma_0 + \Delta\sigma) \int_{-\infty}^{Z_2(x)} \int_{H_2}^{\zeta d\xi d\zeta} \frac{\zeta d\xi d\zeta}{\xi^2 + \zeta^2}$$

გამოსახულება ბაზალტური ფენის იმ ანომალიური მასების გრავიტაციულ ეფექტს წარმოადგენს [11], რომლიც მოქცეულია H_2 სიღრმეში გამავალ სიბრტყესა და DD ზედაპირს შორის.

ამავე გამოსახულებაში გამოსათვლელია მექქსე ინტეგრალური წევრიც, რომელიც იმ ანომალიური მასების გრავიტაციული ეფექტია, რომელიც $\Delta\sigma$ სიმკვრივის და $H_2 - H_1$ სიმძლავრის უსასრულო გავრცელების ფენის არსებობითა განპირობებული და განისაზღვრება ფორმულით [8]:

$$\Delta g_{\Delta\sigma} = 2\pi f(\sigma^l - \sigma_0)(H_2 - H_1).$$

ამრიგად, აკად. ბ. ბალაგაძის ფორმულის გამოყვანის დროს, დედამიწის რეალური ქერქის სრული გრავიტაციული ეფექტის გამოსათვლელად, როცა ქერქის ნორმალურ (სტანდარტულ) ნაწილად მიჩნეულია გრანიტული ფენა, გვექნება:

$$\Delta g_{\text{eff}} = \Delta g_b + \Delta g_s,$$

სადაც $\Delta g_b = 2\pi f \sigma_0 \cdot H_2$ დედამიწის ქერქის ნორმალური (სტანდარტული) ნაწილის ეფექტს გამოსახავს, ხოლო ანომალიური ნაწილი – თუ მხედველობაში მივიღებთ ზემოხსენებულ თანაფარდობების ალგებრულ ჯამს, გამოითვლება ფორმულით:

$$\Delta g_s = \sum_{i=1}^n (\sigma_i - \sigma_0) a_i + (\sigma^I - \sigma_0) b + (\sigma^{II} - \sigma^I) c + 2\pi f (\sigma^I - \sigma_0) (H_2 - H_1), \quad (6)$$

რომელიც აკად. ბ. ბალაგაძის მიერ იყო შემუშავებული [8] რეგიონალური გრავიტაციული ანომალიის ოდენობითი ინტერპრეტაციის ჩასატარებლად.

დასკვნა

დედამიწის ქერქის აღნაგობის კვლევის ეს მეთოდი, რომელიც გადასაჭრელი ამოცანის ცხადად წარმოდგენის საშუალებას იძლევა, ხასიათდება მისი გადაწყვეტის გზების მრავალფეროვნებით [11, 1996] და დედამიწის ქერქის აღნაგობის კვლევის მძლავრ იარაღს წარმოადგენს.

ამ მეთოდის საფუძველზე განხორციელდა ამიერ და იმიერკავკასიის რეგიონების და დედამიწის სხვა რაიონების ქერქის აღნაგობის კვლევა, რომლის შედეგებიც სრულ თანხმობაში აღმოჩნდა გეოლოგიური და სეისმომეტრული მეთოდებით მიღებულ მონაცემებთან, რაც მეთოდის მაღალ საინტერპრეტაციო შესაძლებლობებზე მეტყველებს. გრავიტაციული ანომალიის ოდენობითი ინტერპრეტაციის აქ მოყვანილი შედეგების მოკლე მიმოხილვა, მათი მაღალი მეცნიერული მნიშვნელობის გამო, მოხსენიებულია გამოჩენილი მეცნიერების, ბ. გუტენბერგის და გ. ჯეფრისის მონოგრაფიებში [13,14] და შეტანილია სხვა ცნობილ მეცნიერთა შრომებში [7, 9, 12].

ლიტერატურა

- Heiskanen W. Catalogue of isostatically reduced gravitational stations. "publ. of the isostatic Inst", N5. 1939.
- Венчнг-Меинес Ф.А. Гравиметрические наблюдения на море. Геодезиздай, 1940.
- Вернадский В.И. О геологических оболочках земли как планеты. Изв. АН СССР, серия географ и геофиз., №6, 1942.
- Woolard G. P. Transcontinental gravitational and magnetic profile of north Amerika and its relations to geologic structure. "Bull. Geol. Soc. of Amerika". 54, №6, 1943.
- Фединский В.В. Разведочная геофизика, Изд-во „Недра“, М. 1957.
- Деменицкая Р. М. Кора и мантия земли Изд-во „Недра“, 1967.
- Гамбурцев Г. А. Глубинное сейсмическое зондирование Земной Коры. Тр. Геофиз. инст. АН СССР, №25 (152), 1954.
- Балавадзе Б. К. Гравитационное поле и строение земной коры Грузии. Изд-во АН ГССР. 1957.
- Андреев Б.А., Люсих Е.Н. Изостазия. Большая Советская энциклопедия, 2-е изд. Том XVII, 1952.
- Нумеров Б. В. Теоретические основания применения гравитационных методов в геологии. Влияние внешних масс на гравитационные наблюдения в случае бесконечного простирания. Труды ГГРУ, вып, 36, 1931.

11. ბ. ბალავაძე. გრავიმეტრის კურსი. თსუ გამომცემლობა, 1973, 1996.
12. Шенгелая Г. Ш. Гравитационная модель земной коры Кавказа. Изд. «Наука», Москва, 1984.
13. Гутенберг Б. Физика земных недр, ИЛ. Москва, 1959б.
14. Джекфрисс Г. Земля, ее происхождение, история и строение, ИЛ. Москва, 1960.

УДК 550.831

Р.Г. Манагадзе

О МЕТОДАХ КОЛИЧЕСТВЕННОЙ ИНТЕРПРЕТАЦИИ РЕГИОНАЛЬНОЙ ГРАВИТАЦИОННОЙ АНОМАЛИИ

представлена академиком Национальной академии Грузии Б. Балавадзе

В статье приведён краткий обзор методов исследования строения земной коры и впервые дан вывод формулы

$$\Delta g = \sum_{i=1}^n (\sigma_i - \sigma_0) a_i + (\sigma^I - \sigma_0) b + (\sigma^{II} - \sigma^I) c + 2\pi f (\sigma^I - \sigma_0) (H_2 - H_1)$$

разработанной академиком Б.К. Балавадзе для количественной интерпретации региональных гравитационных аномалий.

РЕФЕРАТ: В статье приведен краткий обзор методов исследования строения земной коры и впервые дан вывод формулы, разработанной академиком Б.К. Балавадзе, для количественной интерпретации региональных гравитационных аномалий: $\Delta g_s = \sum_{i=1}^n (\sigma_0 - \sigma_i) a_i + (\sigma_0 - \sigma') b + (\sigma' - \sigma'') c + 2\pi f (\sigma' - \sigma_0) (H_2 - H_1)$.

Статья методического характера и может оказать помощь студентам и молодым специалистам при освоении методов количественной интерпретации аномалии силы тяжести.

КЛЮЧЕВЫЕ СЛОВА: классификация гравитационных аномалий; методы исследования региональных гравитационных аномалий.

1. Введение

Для изучения строения земной коры на основе аномалии силы тяжести Δg разработаны множество методов [1, 2, 3]. Часть этих методов используется для определения общей мощности земной коры [4, 5, 6], а другая часть – для изучения земной коры по отдельным слоям [7, 8, 9].

Метод интерпретации аномалии силы тяжести в случае двумерных тел, для одной контактной поверхности, был разработан проф. Б.В. Нумеровым [10], а метод определения n контактных поверхностей – академиком Б.К. Балавадзе [8], суть которого состоит в следующем: полный гравитационный эффект масс реальной земной коры, размещенных

между дневной поверхностью и основными контактными поверхностями (см. рисунок), в случае двумерных тел может быть записан в виде [11]

$$\Delta g_{\text{пол}} = 2f \sum_{i=1}^n \left[\sigma_i \int_{-\infty}^{\infty} \int_0^{Z_i(x)} \frac{\zeta}{\xi^2 + \zeta^2} d\xi d\zeta \right], \quad (1)$$

где σ_i - плотности основных слоев (осадочного комплекса, гранитного и базальтового) земной коры, а $Z_i(x)$ - глубины этих слоев от уровня моря.




Схема глубинных залеганий поверхностей раздела земной коры:

1-осадочный слой; 2-гранитный слой; 3-базальтовый слой; 4-границы разделения плотностей

2. Основная часть

Если плотность слоев осадочного комплекса обозначим через σ_i , а плотности гранитного и базальтового слоев – через σ_0 и σ' , из формулы (1), будем иметь:

$$\begin{aligned} \Delta g_{\text{пол}} = & 2f \sum_{i=1}^n \sigma_i \int_{-\infty}^{\infty} \int_0^{h_i(x)} \frac{\zeta d\xi d\zeta}{\xi^2 + \zeta^2} + 2f\sigma_0 \int_{-\infty}^{\infty} \int_0^{Z_1(x)} \frac{\zeta d\xi d\zeta}{\xi^2 + \zeta^2} + \\ & 2f\sigma' \int_{-\infty}^{\infty} \int_{Z_1(x)0}^{Z_2(x)} \frac{\zeta d\xi d\zeta}{\xi^2 + \zeta^2}, \end{aligned} \quad (2)$$

где $h_i(x)$ - глубины основания слоев осадочного комплекса, а $Z_1(x)$ и $Z_2(x)$ - глубины основания гранитного и базальтового слоев соответственно.

Если средние глубины основания гранитного и базальтового слоев обозначить через H_1 и H_2 (см. рис.), из формулы (2) получим:

$$\begin{aligned} \Delta g_{\text{пол}} = & 2f \sum_{i=1}^n \sigma_i \int_{-\infty}^{\infty} \int_0^{h_i(x)} \frac{\zeta d\xi d\zeta}{\xi^2 + \zeta^2} + 2f\sigma_0 \int_{-\infty}^{\infty} \int_{h_i(x)}^{H_1} \frac{\zeta d\xi d\zeta}{\xi^2 + \zeta^2} + \\ & 2f\sigma_0 \int_{-\infty}^{\infty} \int_{H_1}^{Z_1(x)} \frac{\zeta d\xi d\zeta}{\xi^2 + \zeta^2} + 2f\sigma' \int_{-\infty}^{\infty} \int_{H_1}^{H_2} \frac{\zeta d\xi d\zeta}{\xi^2 + \zeta^2} + 2f\sigma' \int_{-\infty}^{\infty} \int_{H_2}^{Z_2(x)} \frac{\zeta d\xi d\zeta}{\xi^2 + \zeta^2}. \end{aligned} \quad (3)$$

С целью разделения гравитационного эффекта реальной земной коры на нормальные и аномальные составляющие, вводим обозначения: $\Delta\sigma_i = \sigma_0 - \sigma_i$ и $\Delta\sigma = \sigma' - \sigma_0$, тогда $\sigma_i = \sigma_0 - \Delta\sigma_i$, $\sigma' = \sigma_0 + \Delta\sigma$; принимая их во внимание, из формулы (3) будем иметь:

$$\begin{aligned} \Delta g_{\text{пол}} = & 2f \sum \left[\sigma_0 \int_0^{h_i(x)} \frac{\zeta d\xi d\zeta}{\xi^2 + \zeta^2} - \Delta \sigma_i \int_{-\infty}^{\infty} \int_0^{h_i(x)} \frac{\zeta d\xi d\zeta}{\xi^2 + \zeta^2} \right] + 2f\sigma_o \int_{-\infty}^{\infty} \int_{h_i(x)}^{H_1} \frac{\zeta d\xi d\zeta}{\xi^2 + \zeta^2} + \\ & 2f\sigma_0 \int_{-\infty}^{\infty} \int_{H_1}^{Z_1(x)} \frac{\zeta d\xi d\zeta}{\xi^2 + \zeta^2} + 2f\sigma_0 \int_{-\infty}^{\infty} \int_{H_1}^{H_2} \frac{\zeta d\xi d\zeta}{\xi^2 + \zeta^2} + 2f\Delta\sigma \int_{-\infty}^{\infty} \int_{H_1}^{H_2} \frac{\zeta d\xi d\zeta}{\xi^2 + \zeta^2} + \\ & 2f\Delta\sigma_0 \int_{-\infty}^{\infty} \int_{H_2}^{Z_2(x)} \frac{\zeta d\xi d\zeta}{\xi^2 + \zeta^2} + 2f\Delta\sigma \int_{-\infty}^{\infty} \int_{H_2}^{Z_2(x)} \frac{\zeta d\xi d\zeta}{\xi^2 + \zeta^2}. \end{aligned} \quad (4)$$

Сумма первой, третьей и пятой составляющих этого выражения $\Delta g_H = 2\pi f \sigma_0 H_2$ представляет гравитационный эффект бесконечного слоя с плотностью σ_0 и мощностью H_2 , что позволяет вычислить гравитационный эффект нормальной земной коры, а по остальным пяти интегральным выражениям вычисляется гравитационный эффект аномальных масс реальной земной коры [8].

Действительно, второй член (4) выражения $2f\Delta\sigma_i \int_{-\infty}^{\infty} \int_0^{h_i(x)} \frac{\zeta d\xi d\zeta}{\xi^2 + \zeta^2}$, после интегрирования по ζ и разложения в ряд Тейлора, сохранив первый член малости первого порядка, представляет гравитационный эффект осадочного комплекса и может быть вычислен с помощью палетки, способ осуществления которой приведен в работах [8, 10, 11]. По четвертой, седьмой и восьмой интегральным составляющим этого выражения, можно вычислить гравитационный эффект тех аномальных масс, которые заключены между средними глубинами (H_1 и H_2) проведенных плоскостей и поверхностями СС и DD (см. рис.) соответственно, и могут быть вычислены также только с помощью палеток [8]. Что касается четвертого члена, он представляет гравитационный эффект бесконечного слоя мощностью H_2-H_1 , избыточной плотностью $\Delta\sigma = \sigma' - \sigma_0$ и определяется формулой $\Delta g_{\Delta\sigma} = 2\pi f (\sigma' - \sigma_0)(H_2 - H_1)$ [11].

Следовательно, при выводе формулы акад. Б.К.Балавадзе, для вычисления полного гравитационного эффекта реальной земной коры, имеем:

$$\Delta g_{\text{пол}} = \Delta g_H + \Delta g_a,$$

где $\Delta g_H = 2\pi a \sigma_0 H_2$ выражает гравитационный эффект нормальной (стандартной) земной коры, а для второй, принимая во внимание вышеполученные результаты для пяти членов выражения (4), получим выражение:

$$\Delta g_a = \sum_{i=1}^n (\sigma_i - \sigma_0) a_i + (\sigma^I - \sigma_0) b + (\sigma^{II} - \sigma^I) c + 2\pi f (\sigma^I - \sigma_0)(H_2 - H_1), \quad (6)$$

то есть, формулу, разработанную **акад. Б.К. Балавадзе**, позволяющую вычислить гравитационный эффект аномальных масс реальной земной коры.

3. Выводы

Этот метод количественной интерпретации региональной гравитационной аномалии отличается простотой и ясностью постановки решаемой задачи, многообразием путей ее решения, и является самым удобным методом для изучении строения земной коры.

С помощью этого метода проводилась интерпретация гравитационного поля Кавказа и Закавказья и ряда других регионов поверхности Земли [8,12], результаты которого оказались в полном согласии с данными, полученными геолого-геофизическими методами, что является ярким показателем высокой интерпретационной способности этого метода интерпретации региональных гравитационных аномалий.

Полученные результаты ввиду высокой значимости привлекли внимание виднейших учёных Б. Гутенberга, И.Г. Джифриса и приводится их краткая характеристика в их известных монографиях – "Физика Земных недр" [13] и "Планета Земля, ее происхождение, история и строение" [14] и в работах других известных учёных [7,9,12].

Литература

1. Heiskanen W. Catalogue of isostatically reduced gravitational stations. "publ. of the isostatic Inst", #5. 1939.
2. Венчнг-Майнес Ф.А. Гравиметрические наблюдения на море. Геодезиздат, 1940.
3. Вернадский В.И. О геологических оболочках Земли как планеты// Изв. АН СССР. Серия географ и геофиз., №6, 1942.
4. Woolard G. P. Transcontinental gravitational and magnetic profile of north Amerika and its relations to geologic structure. "Bull. Geol. Soc. of Amerika". 54, №6, 1943.
5. Фединский В.В. Разведочная геофизика. М.: Недра, 1957.
6. Деменицкая Р. М. Кора и мантия Земли. М.: Недра, 1967.
7. Гамбурцев Г. А. Глубинное сейсмическое зондирование земной коры// Тр. Геофиз. инст. АН СССР, №25 (152), 1954.
8. Балавадзе Б. К. Гравитационное поле и строение земной коры Грузии. Изд-во АН ГССР. 1957.
9. Андреев Б.А., Люсих Е.Н. Изостазия// Большая Советская Энциклопедия, 2-е изд. Том XVII, 1952.
10. Нумеров Б. В. Теоретические основания применения гравитационных методов в геологии. Влияние внешних масс на гравитационные наблюдения в случае бесконечного простирания// Труды ГГРУ, вып. 36, 1931.
11. ბ. ბალავაძე. გრავიმეტრის კურსი. თსუ-ს გამომცემლობა, 1973, 1996.
12. Шенгелая Г. Ш. Гравитационная модель земной коры Кавказа. Москва: Наука, 1984.
13. Гутенберг Б. Физика земных недр. Москва: ИЛ, 1959.
14. Джифрис Г. Земля, ее происхождение, история и строение. Москва: ИЛ, 1960.

უაკ 550.831

გრ. მანაგაძე, გ. ქუთელია,
ბ. თუთბერიძე, რ. მანაგაძე

გრავიმატრიული მეთოდით ჯავახეთის ზეგანზე დედამიწის ქარების აღნაგობის კვლევის ზოგიერთი შედეგი

წარდგენილია საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს პ. ბალაგაძის მიერ

რეზერატი: ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ S სალოკალიზაციის პარამეტრის სხვადასხვა მნიშვნელობებისათვის დე ანომალიური ველის საფუძველზე აგებული გრაფიკებთ შეიძლება გადაიჭრას ამოცანა დედამიწის ქერქის დანალექ კომპლექსში სიმკვრივეთა გამყიფი ზედაპირის არსებობის შესახებ, დაგდინდეს დედამიწის ზედაპირზე რღვევების აღვილდებარება და სიღრძეში მისი გავრცელების მიმართულება, ხოლო ზოგიერთ ხელსაყრელ შემთხვევაში – შეფასდეს სიმკვრივეთა გამყიფი ზედაპირის ჩაწოდის სიღრძეც.

ამგვარად, დანალექი წევბის კვლევისას სალოკალიზაციი ფუნქციების გამოყენება შესაძლებლობას გვაძლევს გადაგვრათ გრავიმეტრის შებრუნებული ამოცანის რიგი საკითხები, რაც გრავიტაციული კვლევის ინტერაქტურულაციისას, ამ მეთოდის გამოყენების მაღალ შესაძლებლობაზე მეტყველებს.

საკვალი სიტყვები: ჯავახეთის ზეგანი, გრავიტაციული კვლევი, სალოკალიზაციი ფუნქციები.

1. შესავალი



გრავოლ მანაგაძე,
ფიზიკ-მათემატიკის
მეცნიერებათა კანდიდატი,
პროფესორი

ჯავახეთის ზეგნის შინაგანი სტრუ-
ქტურების შესწავლა ძალიან გართულებულია
ალპური ციკლის გვიანოროგენული (ნეოგენურ-
ანთროპოგენური) ვულკანური წარმონაქმნების
დიდი სიმძლავრეების გამო. გეოლოგიურ-გეო-
ფიზიკური კვლევის მონაცემებით, ართვინ-
ბოლნისის ბელტის ბოლნისისა და ჯავახეთის
ქვეზონები კრისტალური ფუნდამენტის აგებუ-
ლებით მსგავსია, თუმცა ჯავახეთის ქვეზონის

კრისტალური ფუნდამენტი დანაწევრების მაღალი ხარისხით და



გურამ ქუთელია,
თსუ-ს, ზუსტ და საბუნების-
მეტყველო მეცნიერებათა ფა-
კულტერი, პროფესორი



ბეჭედ თუთბერიძე,
თსუ-ს, ზუსტ და საბუნები-
სმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტი, სრული
პროფესორი

დედამიწის ქერქის მკვეთრად გამოხატული ბლოკურ-მოზაიკური აგებულებით ხასიათდება [1]. ბლოკურ-მოზაიკურ სტრუქტურებთანაა დაკავშირებული მსხვილი პოზიტიური (ჯავახეთის, აბულ-სამსარის, ნია-
ლასყურის ქედები, ერუშეთ-არსიანის ზეგანი) და დეპრესიული (ახალქალაქის, დმანისის, წალ-
კის, გომარეთის პლატოები) სტრუქტურების ფორმირება, რომლებიც ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდება ვულკანიზმის გამოვლინების ფორმით, ამოფრქვეული მასის ნივთიერი შედგე-



რუსულ მანაგაძე,
სტუ-ს, სამთო-გეოლოგიუ-
რი ფაკულტეტი, ასოცი-
რებული პროფესორი

ნილობით და მოცულლობით [2].

ჯავახეთის ზეგნის ფარგლებში ნეოგენურ-ანთროპოგენური მაგმატიზმის გამოვლინება და კავშირებულია ბლოკების შემომსაზღვრელ სხვადასხვა მიმართულების სიღრმულ რღვევებთან, რომლებიც აღმური ციკლის გვიანოროგენული ვულკანიზმის მაგმის მაკონტროლირებელ ძირითად სტრუქტურებს წარმოადგენს და დღემდე სეისმოაქტივობას ინარჩუნებს.

ჯავახეთის ზეგნის ნეოგენურ-ანთროპოგენური ვულკანური კომპლექსების ქვეშ დედამიწის ქერქის სიღრმულ აგებულების კვლევა დღესაც თანამედროვე გეოლოგიურ-გეოფიზიკური მეცნიერების ერთ-ერთ ძირითად პრობლემას წარმოადგენს და მათ გადაწყვეტას დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება.


2. ძირითადი ნაწილი

დედამიწის ქერქის აგებულების კვლევა Δg ველის მეშვეობით, პირველად კავკასიის ბათუმი-ადიგენი-სამსარი-შაუმიანის პროფილზე (ნახ. 1), 1955 წელს აკადემიკოს ბ. ბალავაძის მიერ შემუშავებული რეგიონალური გრავიტაციული ანომალიის საინტერპრეტაციო ფორმულის საფუძველზე განხორციელდა [3]:

$$\Delta g = \Sigma (\sigma_i - \sigma_0) a_i + (\sigma' - \sigma_0) b + (\sigma'' - \sigma') c + 2\pi f(\sigma' - \sigma_0)(H_2 - H_1), \quad (1)$$


სადაც Δg ბუგეს ანომალია; σ_i – დანალექი წყების კომპლექსში შემავალი შრეების, ხოლო σ_0, σ' და σ'' – გრანიტული, ბაზალტური და ულტრაბაზიტური (სუბსტრატის) ფენების სიმკვრივეები, შესაბამისად; H_1 და H_2 – გრანიტული და ბაზალტური ფენების საგებთა სიღრმეებია (ნახ. 1); f – მიზიდულობის მუდმივა.

კვლევის ეს მეთოდი, რომელიც (1) ფორმულის საფუძველზე ხორციელდება, გამოირჩევა თავისი უნივერსალობით. ის დედამიწის ქერქის ოპტიმალური გრავიტაციული მოდელის დადგენისას შესაძლებლობას იძლევა განხორციელდეს როგორც ფორმის, ასევე სიმკვრივის მახასიათებელი პარამეტრების ცვლილება. გარდა ამისა, შესაძლებელია ცალ-ცალკე იქნეს გამოთვლილი დანალექი წყების, გრანიტული და ბაზალტური ფენების გრავიტაციული ეფექტები და შეფასდეს მათი გეოლოგიურ-გეოფიზიკური პარამეტრები.



ნახ. 1. 1 – დანალექი წყების გავლენის გამოთვლილი მრუდი, 2 – ბაზალტური ფენის გავლენის გამოთვლილი მრუდი, 3 – Δg მრუდი, 4 – გრანიტული ფენის გავლენის გამოთვლილი მრუდი, 5 – გრანიტული ფენი, 6 – ბაზალტური ფენი, 7 – სუბსტრატი

Δg ველის ინტერპრეტაციისას, ბ. ბალავაძე სარგებლობდა 1:1000000 მასშტაბის გრავი-
მეტრიული რუკიდან აღებული Δg ველით, რომლის გრაფიკი მოცემულია 1-ელ ნახ-ზე. ამ
პროფილის სამსარის უბანზე (მონაკვეთი 125-225, რომელიც ჯავახეთის ზეგანზე ჩვენი კვლევის
ობიექტს წარმოადგენს), Δg ანომალიური ველი ხასიათდება გაშლილი რეგიონალური მინიმუმით,
რომელზეც გამოიყოფა რამდენიმე ლოკალური ანომალია [3]. ამავე ნახაზზე მოცემულია (1)
ფორმულის საფუძველზე აგებული გეოლოგიური ჭრილი, რომელიც, ჩვენი აზრით, ამ
ტერიტორიაზე დედამიწის ქერქის აღნაგობის ყველაზე სავარაუდო მოდელს წარმოადგენს. ამ
მტკიცების საფუძველს გვაძლევს ის გარემობა, რომ მიღებული შედეგები შესაბამება აქ
ჩატარებულ ყველა გეოლოგიურ და გეოფიზიკურ კვლევის მონაცემებს [5].




ნახ. 2. 1 – კრისტალური ფუნდამენტი, 2 – გრანიტულ ფენაში გამოყოფილი ზედაპირები, 3 – ბაზალტურ ფენაში გამოყოფილი ზედაპირები, 4 – მოხოროვიჩის ზედაპირი, 5 – რღვევები

ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ დანალექი წყების სიმძლავრე სამსარის უბანზე 1.0-
4.0 კმ-ია, გრანიტული ფენის – 15-25 კმ, ხოლო ბაზალტური ფენისა – 20-22 კმ.

ჯავახეთის ზეგნის ქერქის შემდგომი კვლევა აკადემიკოს ბ. ბალავაძის ხელმძღვანელო-
ბით, 1979-1982 წლებშიც გაგრძელდა, რომლის დროს, 1:200000 მასშტაბის გრავიმეტრიული
მონაცემების გარდა, გამოყენებული იყო 1979-1981 წლებში ჩატარებული სეისმური კვლევების
შედეგებიც [6], რომლებიც ჭრილის სახით მოცემულია მე-2 ნახ-ზე. Δg ველისა და სხვა
გეოლოგიურ-გეოფიზიკური მონაცემების საფუძველზე აგებული ამ ჭრილით, მივიღეთ
დამატებითი ინფორმაცია დანალექ წყებაში სიმკვრივეთა ლატერალური განაწილების შესახებ
(ნახ. 3), რაც სეისმური მეთოდით აგებულ ჭრილზე არ იყო დატანილი.

როგორც 1979-1982 წლებში ჩატარებული კომპლექსური კვლევებით იქნა დადგენილი
[7], დანალექი წყების სიმძლავრე მაქსიმალურია ბავრა-ნინოწმინდის, ბაკურიანის ზეგანის სამხ-
რეთ ნაწილსა და ბაკურიანის მიდამოებში 1.0-3.5 კმ, ხოლო მინიმალური – ახალქალაქის სამხ-
რეთ უბნებში 0.5-1.0 კმ. კონრადის ზედაპირის ჩაწოლის სიღრმე ზეგანზე 12-16 კმ ფარგლებში

ცვალებადობს, ხოლო მოხორციელისა – 25-18 კმ ფარგლებში. ამასთან, როგორც მიღებული შედეგების შედარებიდან ირკვევა, 1955 წლის, გრავიმეტრიული კვლევის შედეგები კარგად თანხვდება 1979-1982 წლებში მიღებულ გრავიმეტრიულ მონაცემებს.



ნახ. 3. 1 – გამყოფი ზედაპირები გრავიმეტრიული მონაცემებით, 2 – გამყოფი ზედაპირები სეისმური მონაცემებით,
3 – რღვევის ზონები

1979-1981 წლების სეისმური კვლევების შედეგების (ნახ. 2) მიხედვით, არტაშენი (სომხეთი)-ახალქალაქი-ბაკურიანის პროფილზე, დანალექ წყებაში, გამყოფილ იქნა სიძვრივეთა გამყოფი ერთი ზედაპირი, გრანიტულ ფენაში – 2, ბაზალტურ ფენაში – 3, ხოლო ტერიტორიის დანარჩენი ნაწილი, რომელი გეომორფოლოგიური პირობების გამო, დარჩა შეუსწავლელი. ამასთანავე, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ სეისმური კვლევები გაცილებით უფრო ძვირად დირებულია, ვიდრე გრავიმეტრიული, ცხადია, კვლევის ისეთი გრავიმეტრიული მეთოდის შემუშავება, რომელიც დანალექ წყებაში სიძვრივეთა გამყოფი ზედაპირების, რღვევის ადგილებისა და სიღრმის დადგენის საშუალებას მოგვცემდა, საკმაოდ აქტუალურია.

დანალექი წყების აღნაგობის გამოსაკვლევად, გამოვიყენეთ ანდრევ-გრიფინის, საქსონიგარდისა და ახალი სალოკალიზაციო ფუნქციების პროფილური ვარიანტები [9]:

$$F[\Delta g(X,S)] = \Delta g(X) - 1/2[\Delta g(X-S) + \Delta g(X+S)], \quad (2)$$

$$F[\Delta g(X,S)] = 1/2[\Delta g(X) - 1/3[\Delta g(X-S) + \Delta g(X+S)] + 1/12[\Delta g(X-2S) + \Delta g(X+2S)]], \quad (3)$$

$$F[\Delta g(X,S)] = 1/2[\Delta g(X+0.5S) - \Delta g(X-0.5S)] - 1/6[\Delta g(X+1.5S) - \Delta g(X-1.5S)], \quad (4)$$

$$F[\Delta g(X,S)] = 1/3[\Delta g(X+S) - \Delta g(X-S)] - 1/6[\Delta g(X+2S) - \Delta g(X-2S)], \quad (5)$$

$$F[\Delta g(X,S)] = 5/3[\Delta g(X+0.5S) - \Delta g(X-0.5S)] - 5/6[\Delta g(X+1.5S) - \Delta g(X-1.5S)] + 1/6[\Delta g(X+2S) - \Delta g(X-2S)], \quad (6)$$


$$F[\Delta g(X,S)] = 1/4[\Delta g(X-3S) + \Delta g(X-S) + \Delta g(X+S) + \Delta g(X+3S)] - 1/2[\Delta g(X-2S) + \Delta g(X+2S)], \quad (7)$$

$$F[\Delta g(X,S)] = 1/6[\Delta g(X-S) + \Delta g(X+S)] - 1/6[\Delta g(X-2S) + \Delta g(X+2S)], \quad (8)$$


საღაც $\Delta g(x)$, $\Delta g(x \pm 0,5S)$, $\Delta g(x \pm S)$, ... ანომალიის მნიშვნელობებია პროფილის x , $x \pm 0,5S$, $x \pm S$, ... წერტილებში, ხოლო S – პროფილის ჩვენ მიერ შერჩეული მონაკვეთი, რომელსაც სალოკალიზაციო პარამეტრი ეწოდება.

ეს ფუნქციები საყურადღებოა იმ თვალსაზრისით, რომ მათ სხვადასხვა რიგის საფილტრაციო და ანომალიური მასების სიმკვრივეთა მიმართ სხვადასხვა მგრძნობელობა აქვს [9], რომლის გამოყენებაც დანალექი წყების შესწავლის საშუალებას იძლევა.


ამ ფუნქციების გრაფიკები აგებული Δg ველის მონაცემების საფუძველზე არტაშენი-ახალ-ქალაქი-ბაკურიანი პროფილის მიმართულებით (ნახ. 4), როცა S სალოკალიზაციო პარამეტრს თანამიმდევრობით ენიჭება $0,5, 1, 1,5, \dots, 6$ კმ მნიშვნელობები, შესაბამისად, მოცემულია ნახაზებზე (5, 6, 7, 8, 9, 10 და 11).




ნახ. 4




ნახ. 5




ნახ. 6




ნახ. 7




ნახ. 8



ნახ. 9



ნახ. 10



ნახ. 11

როგორც ეს (5) ფორმულის საფუძველზე აგებული ანდრევ-გრიფინის სალოკალიზაციო ფუნქციის გრაფიკებიდან ჩანს (ნახ. 5), პროფილის 0-15 მონაკვეთზე დაფიქსირებული Δg ველის მინიმუმი დედამიწის ქერქის ბლოკის დაძირვით უნდა იყოს გამოწვეული (ნახ. 2), რასაც სეის-მური მონაცემებიც ადასტურებს. ხოლო ეს დაძირვა, $F[\Delta g]$ ველის გრაფიკებზე, წარმოდგენილია უარყოფითი მნიშვნელობებით.

პროფილის 15-32 მონაკვეთის დასაწყისში აღინიშნება Δg ველის მცირეამპლიტუდიანი მინიმუმი (ნახ. 4), რომლის შემდეგ ველის მნიშვნელობა თანდათანობით იზრდება, რაც ახალქალაქის პლატოს ამოწევითაა განპირობებული (ნახ. 2), ხოლო $F[\Delta g]$ ფუნქციის ველში ეს ამოწევა (ნახ. 5) წარმოდგენილია დადებითი მნიშვნელობით.

პროფილის 32-50 მონაკვეთში Δg ველის სიდიდე ჯერ ოდნავ მცირდება, შემდეგ თანდათანობით მატულობს, რაც ამ მონაკვეთში არსებული ბლოკების ვერტიკალური გადაადგილებების შედეგია (ნახ. 2, 4) და შესაბამისად, $F[\Delta g]$ ფუნქციის ველში დაფიქსირდა უარყოფითი და დადებითი ანომალიებით. რაც შეეხება პროფილის დარჩენილი ნაწილის 45-80 მონაკვეთს, აქ სეის-მური კვლევა არ ჩატარებულა, ამიტომ Δg ველის ინტერპრეტაციას, პროფილის 0-45 მონაკვეთზე, მიღებული შედეგების გათვალისწინებით ჩავატარებთ.

ასე, მაგალითად, თუ გავაანალიზებთ $F[\Delta g]$ ფუნქციის ცვალებადობის ხასიათს პროფილის (45-80) მონაკვეთზე ვნახავთ, რომ პროფილის 45-ე პუნქტიდან დაწყებული $F[\Delta g]$ ველის ანომალიები გაცილებით ინტენსიურია და თუ მხედველობაში მივიღებთ პროფილის (0-45) მონაკვეთზე ჩვენ მიერ შესრულებული კვლევის შედეგებს შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პროფილის (45-80) ნაწილში ქერქის აღნაგობაც ბლოკური ხასიათისაა და შემადგენელი ბლოკების გადაადგილებებიც უფრო ინტენსიურია, ვიდრე პროფილის (0-45) მონაკვეთში.

ახლა სალოკალიზაციო ფუნქციების გრაფიკების მეშვეობით განვიხილოთ დანალექ წყებაში სიმკვრივეთა გამყოფი ზედაპირის განსაზღვრის საკითხი. ამ მიზნით თუ განვიხილავთ პროფილის (5-18) მონაკვეთზე $S=0.5, 1.0, 1.5, 2.0, 2.5$ და 3.0 კმ მნიშვნელობებისათვის აგებულ ანდრევ-გრიფინის ფუნქციის გრაფიკების X ღერძთან გადაკვეთის x_0 აბსცისებს ვნახავთ, რომ მათი სიდიდეები საგრძნობლად განსხვავდება $S=3.5, 4.0, 4.5, 5.0, 5.5$ და 6.0 კმ მნიშვნელობებისათვის აგებული გრაფიკებისაგან და ადგილი აქვს x_0 აბსცისების

სიდიდეთა შორის ნახტომისებრ გადასვლებს (იხ. ნახ. 5), რაც დანალექ წყებაში სიმკვრივეთა გამყოფი ზედაპირის არსებობის დადგენის ერთ კრიტერიუმს წარმოადგენს, ხოლო მეორეს – სალოკალიზაციო ფუნქციების ექსტრემუმების სიდიდეთა და ფორმის შეცვლის ნახტომისებრი გადასვლების ანალიზით მივიღებთ.

ანდრევ-გრიფინის სალოკალიზაციო ფუნქციის გრაფიკების ანალიზით მიღებული კრიტერიუმების უტყუარობის დასადგენად თუ გამოვიყენებთ (6), (7), (8), (9), (10) და (11) სალოკალიზაციო ფუნქციების გრაფიკებს (ნახ. 6, 7, 8, 9, 10, 11), რომლებშიც მეტ-ნაკლები სახითაა წარმოდგენილი აღნიშნული კრიტერიუმები და მათში S პარამეტრის სხვადასხვა მნიშვნელობებისათვის აგებულ გრაფიკებში გავაანალიზებთ ნახტომისებრი გადასვლების ადგილებს, ადვილად დავრწმუნდებით დანალექ წყებაში გამყოფი ზედაპირის არსებობის ფაქტში.

ამგვარად, საკვლევი ობიექტის Δg ველისა და ლოკალიზებული $F[\Delta g]$ ველების გრაფიკების მეშვეობით, მივიღეთ გარკვეული წარმოდგენა საკვლევ ტერიტორიაზე დედამიწის ქერქში არსებული ბლოკური ტიპის ობიექტების ამოზვებისა და დაძირვის უბნების და დანალექ წყებაში სიმკვრივეთა გამყოფი ზედაპირის არსებობის შესახებ.

ახლა განვიხილოთ დედამიწის ქერქის დანალექ წყებაში რღვევის ადგილების დაფიქსირებისა და ბლოკური ტიპის ობიექტების გამოყოფის საკითხი. ამოცანის გადასაწყვეტად ვისარგებლოთ სალოკალიზაციო ფუნქციების თვისებებით. ასე, მაგალითად, (4) და (8) სალოკალიზაციო ფუნქციების (ნახ. 4, 8) გრაფიკების X ღერძთან გადაკვეთის წერტილების X₀ აბსცისებით შეიძლება დავადგინოთ დედამიწის ზედაპირზე რღვევის ადგილები. როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1978-1981 წლებში სეისმური მეთოდით დეტალურად იყო შესწავლილი არტაშნა-ახალქალაქი-ბაკურიანის პროფილზე (ნახ. 2) რღვევის ადგილები და ბლოკური ტიპის ობიექტები. თუ ამ ადგილებს შევადარებთ ამავე პროფილზე ანდრევ-გრიფინის ფუნქციის X₀ აბსცისებს (ნახ. 5, 9) და სეისმური ჭრილის სქემაზე დატანილ რღვევის ადგილებს (ნახ. 2), ადვილად დავრწმუნდებით, რომ პროფილის 5 და 17 პუნქტებში დაფიქსირებული რღვევებიდან, მე-5 პუნქტში გრავიმეტრიული მეთოდით დაფიქსირებული რღვევა სეისმური პროფილის ჭრილში არაა დატანილი. რაც განპირობებულია იმ გარემოებით, რომ პროფილის საწყის პუნქტებში სეისმური მეთოდი ყოველთვის არ იძლევა რღვევის ადგილის დადგენის საშუალებას. ხოლო მე-17 პუნქტში დატანილი რღვევა (ნახ. 2) კარგ თანხვედრაშია $F[\Delta g]$ ფუნქციის გრაფიკების X ღერძთან გადაკვეთის წერტილებთან.

ასევე კარგ თანხვედრაშია ახალქალაქის ჩრდილოეთით, სეისმურ პროფილზე დაფიქსირებული რღვევა გრავიმეტრიული პროფილის 34-ე პუნქტში არსებულ X ღერძის გადაკვეთის წერტილთა აბსცისებთან, ხოლო პროფილის 34-ე წერტილის ჩრდილოეთით არსებული ორი რღვევა (ნახ. 2) სათანადოდ ასახულია $F[\Delta g]$ ფუნქციის X ღერძის გადაკვეთის წერტილებთან (ნახ. 5), პროფილის 34-40 წერტილებს შორის არსებულ მონაკვეთში. აგრეთვე, ბაკურიანის სამხრეთით არსებული რღვევა შეესაბამება გრავიმეტრიული პროფილის 42-ე პუნქტში დაფიქსირებულ X₀ მონაცემებს, ხოლო გრავიმეტრიული პროფილის 44.5 წერტილში დაფიქსირებული X₀ აბსცისა – ბაკურიანის ლოკალური ამოწევის ჩრდილოეთ მხარეს არსებულ რღვევას ასახავს

(ნახ. 5), რომელიც სეისმურ პროფილზე (ნახ. 2) არაა დატანილი, ვინაიდან სეისმური კვლევები ბაკურიანთან იქნა შეწყვეტილი.

46-ე და 54-ე პუნქტებში დაფიქსირებული x_0 აბსცისები, ბაკურიანის ჩრდილოეთ მხარეს არსებული ამოწეული ბლოკის გვერდებს წარმოადგენს, ხოლო 60.5 და 74-ე წერტილთა შესაბამისი x_0 აბსცისები ამ პუნქტებს შორის არსებული ბლოკის ამოწევითაა განპირობებული.

ანალოგიურად, საკვლევ ტერიტორიაზე შეიძლება დავაფიქსიროთ რღვევის ადგილები, თუ ვისარგებლებთ Δg ველით და მის საფუძველზე აგებული სალოკალიზაციო ფუნქციების $F[\Delta g]$ გრაფიკებით. ამავე მიზნით შეიძლება გამოყენებულ იქნეს აგრეთვე (6) და (7) სალოკალიზაციო ფუნქციების გრაფიკებიც, რომელგანც რღვევის ადგილები ფიქსირდება $F[\Delta g]$ ფუნქციების შესაბამისი მაქსიმუმების x_{max} აბსცისებით (ნახ. 5, 6). გარდა აღნიშნულისა, სალოკალიზაციო ფუნქციების გრაფიკების სათანადო ანალიზით, შეიძლება მივიღოთ გარკვეული წარმოდგენა სიღრმეში რღვევის გავრცელების ხასიათის და ბლოკური ტიპის ობიექტის დახრის მიმართულების შესახებ, ვინაიდან რღვევის ზოლის სიბრტყე დახრილი ფენის შემთხვევაში დახრის მხარეს გადაადგილდება, ხოლო $F[\Delta g]$ გრაფიკი ასიმეტრიული ხდება (იხ. სალოკალიზაციო ფუნქციების გრაფიკები).

რაც შეეხება (6) ფუნქციის გრაფიკებს, რომელიც საქსოვ-ნიგარდის ფუნქციის ანალოგს წარმოადგენს (ნახ. 6), მისი მეშვეობით შეიძლება მივიღოთ გარკვეული წარმოდგენა ანომალური მასების ლატერალური ცვალებადობის შესახებ, რაც (6) და (7) სალოკალიზაციო ფუნქციებით მიღებული შედეგების ჭეშმარიტების დადგენაში გვეხმარება [6], ხოლო (7) სალოკალიზაციო ფუნქციის გრაფიკების კონფიგურაციების ანალიზის საფუძველზე მიღებულ შედეგებს (ნახ. 7) დანალექ წყებაში არსებულ სიმკვრივეთა გამყოფი ზედაპირის ჩაწოლის სიღრმის დასადგენად იყენებენ [10]. მაგალითად, ბაკურიანის ლოკალური ანომალიის პირობითი მაქსიმუმის გრაფიკს (პუნქტი 44.5), (7) ფუნქციის $S=0.5$ კმ მნიშვნელობისათვის აგებული გრაფიკი შეესაბამება [11] და, სათანადო, ამ პუნქტში სიმკვრივეთა გამყოფი ზედაპირის სიღრმე 0.5 კმ-ია (ნახ. 7), რაც კარგად თანხვდება სეისმურ პროფილზე დანალექ წყებაში დაფიქსირებული გამყოფი ზედაპირის სიღრმეს (ნახ. 2).

ამრიგად, დედამიწის ქერქის დანალექი კომპლექსის კვლევისას, Δg ანომალიური ველის საფუძველზე აგებული S სალოკალიზაციო პარამეტრის სხვადასხვა მნიშვნელობებისათვის აგებული გრაფიკებით შეიძლება გადავჭრათ დედამიწის ქერქის დანალექ წყებაში სიმკვრივეთა გამყოფი ზედაპირის არსებობის საკითხი, დავადგინოთ დედამიწის ზედაპირზე რღვევის ადგილი და სიღრმეში მისი გავრცელების მიმართულება, ხოლო ზოგიერთ ხელსაყრელ შემთხვევაში – შევაფასოთ სიმკვრივეთა გამყოფი ზედაპირის ჩაწოლის სიღრმეც.

3. დასკვნა

დაბოლოს, შეიძლება დაგსკვნათ, რომ დანალექი წყების კვლევისას სალოკალიზაციო ფუნქციების გამოყენება შესაძლებლობას გვაძლევს გადავჭრათ გრავიმეტრიის შებრუნებული

ამოცანის წინაშე მდგომი რიგი საკითხები, რაც გრავიტაციული ველის ინტერპრეტაციისას სალოკაციაციი ფუნქციების გამოყენების მაღალ შესაძლებლობაზე მეტყველებს.

ლიტერატურა

ამ მიზნით საჭიროა თავდაპირველად შევისწავლოთ წყლის ზემოქმედება თიხურ ქანებზე, როდესაც ჭაბურლილების კედლების შემადგენელი ქანები იმყოფება დაძაბულ მდგომარეობაში. თიხის არაშემცველი ქანებისაგან განსხვავებით, რომელიც უმნიშვნელოდ იცვლიან სიმტკიცეს წყალსხნარებთან კონტაქტის დროს, მცირე ტენიანობის მქონე თიხურ ქანებში მათი დასველებისას წარმოიქმნება დამატებითი დაძაბულობა, რომელიც განპირობებულია გაჯირჯვების წნევით, რაც ხელს უწყობს ქანების სიმტკიცის საგრძნობლად შემცირებას. ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს ჭაბურლილების კედლების მდგრადობაზე წარმოადგენს თიხური ქანების გატენიანება. ამ დროს თიხის მინერალების ხვედრითი ზედაპირის სიდიდე მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ასე, მაგალითად, კაოლინიტისათვის ხვედრითი ზედაპირი შეადგენს $5-15 \text{ m}^2/\text{g}$, ხოლო მონტმორიონიტისათვის $800 \text{ m}^2/\text{g}$, ე.ო. ისინი ერთმანეთისაგან საგრძნობლად განსხვავდება. ასეთივე თანაფარდობაში იმყოფება მათი გაწყლოვანებული ფენების გასქელების (გაჯირჯვების) სიდიდეები. მცირე ხვედრითი ზედაპირის მქონე არგილიტების სიმტკიცის საგრძნობლად შესამცირებლად საკმარისია ქანების მასის 10 % რაოდენობის ტენი. ტენის ეს რაოდენობა იწვევს მაღალი ხვედრითი ზედაპირის მქონე ძლიერ დისპერსიულ თიხებში ნაწილაკების შეჭიდულობის მხოლოდ უმნიშვნელო ცვლილებას (შემცირებას).

წყლის თიხურ ქანებში შეღწევა ხდება ფორებისა და მიკრონაპრალების საშუალებით. თიხის მინერალები მიეკუთვნება შერეული ფორიანობის მქონე ადსორბენტს. მათ სტრუქტურაში არსებობს როგორც გარდამავალი (16-დან – 2000A), ასევე მიკრო (15-16 A) და მაკრო (>200 A) ფორები.

ქანებში კაპილარული გამტარობა აქვს მხოლოდ მაკროაგრეგატებს შორის არსებულ ფორებს, რადგან მიკროაგრეგატებს შიგნით არსებული ფორები (10^{-7}M) მთლიანად შევსებულია ბმული წყლით.

მიკროაგრეგატებს შორის არსებულ ფორებს უკავია საკმაოდ დიდი მოცულობა, რომელიც შეიძლება იყოს წყლით შევსებული. ამიტომ ქანების ტენიანობის გაზრდა, რომელიც დაკავშირებულია სიმტკიცის შემცირების გამომწვევ ტენიანობასთან წარმოებს მხოლოდ ამ ფორების შევსების ხარჯზე. მათი შევსება შეიძლება მოხდეს ფორების ზომების მიხედვით კაპილარული

ძალების მოქმედების ხარჯზე. გარდა არსებული ფორებისა, ქანებში ჩნდება მიკრონაპრალები, რომლებიც წარმოიქმნება ქანების დაშლისას ქანმომგრევი იარაღით ბურლვისას. ამრიგად, თიხების ტენიანობა იზრდება წყლის შეწოვისა და გაჯირჯვების გადიდების შესაბამისად. ეს მოვლენა თან სდევს პოლიმერულური ფენების გაზრდას და შიგასტრუქტურული კავშირების შესუსტებას. გაჯირჯვება წარმოადგენს ძირითად მიზეზს თიხის აგრეგატების პეპტიზაციისა, რომელიც მოამზადებს მათ გამოსვლას სუსპენზიურ მდგომარეობაში წყლის სიჭარბის დროს [4]. შეწოვა წარმოადგენს კაპილარულ მექანიზმს, რომელიც უზრუნველყოფს ფორებში ხსნარების შეღწევას და იქიდან ჰაერის გამოდევნას, მისი შიგა ზედაპირის დასველებას, ნაწილაკებს შორის შეკავშირების შესუსტებას. ღია ფორებში შეწოვა ხორციელდება კაპილარული ძალებით, დახურულში ვითარდება ადგეზიური წნევა (დაწოლა).

შეწოვა შეიძლება განხილულ იქნეს არა, როგორც დამოკიდებული პროცესი, რომელიც არაა დამოკიდებული გაჯირჯვებაზე და კონკურენციას უწევს მას, არამედ, როგორც პირველი სტადია და ეს პროცესი მით უფრო ხანგრძლივია, რაც მეტია ლიოფილბა.

ამრიგად, თუ აღმოიფხვრა ეს სტადია, მაშინ არ მოხდება თიხის ქანების სიმტკიცის შესუსტება.

კაპილარული წნევა განისაზღვრება ფორმულით:

$$P = \frac{2\sigma_{12}}{h} \cos\theta^0, \quad (1)$$

სადაც σ_{12} ხსნარის ზედაპირზე დაჭიმულობაა (ჩვენ შემთხვევაში სარეცხი ხსნარის ფილტრატის); θ^0 - დასველების კუთხე; h - კაპილარის სიგანე.

ამრიგად, ერთი და იგივე ქანებისათვის, რომ შემცირდეს კაპილარული წნევა აუცილებელია გაიზარდოს θ^0 და შემცირდეს σ_{12} .

პიდროვფილური ზედაპირების (რომლებსაც მიეკუთვნება თიხური ქანები) დასველება შეიძლება შემცირდეს შემდეგნაირად:

- ა) დამსველებად სითხეს დაემატოს ზედაპირულად აქტიური ნივთიერებანი;
- ბ) დამსველებად სითხეს დაემატოს ელექტროლიტები;
- გ) დამსველებად სითხეს შეუმცირდეს PH;
- დ) გაიზარდოს ტემპერატურა.

ბურლვის პრაქტიკიდან ცნობილია, რომ თიხური ქანების სიმტკიცის შესასუსტებლად საბურლ ხსნარებს უმატებენ ელექტროლიტებს – ზედაპირულად აქტიურ ნივთიერებებს, პიდროვფიბოზატორებს, ამცირებენ ხსნარის PH-ს [2, 5].

ამრიგად, შეიძლება ვიგარაუდოთ, რომ თიხური ქანებში ბურლვისას ელექტროლიტების მაინგიბირებად მოქმედებას საფუძვლად უდევს იგივე მოვლენა, რაც ზედაპირულად აქტიურ ნივთიერებების, პიდროვობიზატორების დამატებისას, PH-ის შემცირებისას და ტემპერატურის გაზრდისას – თიხური ქანების დასველებადობის შემცირება, ე. ი. მათი პიდროვობიზაცია იწვევს კაპილარული წნევისა და ტენის შეღწევადობას ქანებში. ჩვენი მოსაზრების შესამოწმებლად აუცილებელია ჩატარდეს გამოკვლევები თიხის ნიმუშის მიერ ტენის შთანთქმაზე ელექტროლიტების მოქმედების შედეგად.

დავუშვათ, რომ წყალთან შეხებისას ადგილი აქვს თიხური ქანების მთლიან დასველებას, ე. ი. $\theta^0 = 0$ და $\cos\theta^0 = 1$, მაშინ

$$P = \frac{2\sigma_{12}}{h}. \quad (2)$$

წყალში ელექტროლიტების დამატებისას, ყველა სხვა თანაბარი პირობების დროს ზედაპირული დაჭიმულობა უმნიშვნელოდ იზრდება, ამიტომ

$$\sigma_{121} = \sigma_{122}.$$

როგორც ცნობილია კაპილარული ძალა F

$$F = PS \text{ და } F = mg,$$

სადაც P კაპილარული წნევაა, მაა; m -თიხურ ქანზე სითხის ზემოქმედებისას შთანთქმული ტენის მასა, კგ; g -სიმბიმის ძალის აჩქარება, $g = 9,81 \text{ მ/ს}^2$; S -ტენის თიხურ ქანთან კონტაქტის ფართობი, მ^2 .

აქედან

$$\frac{PS}{P_{max}Scos\theta^0} = \frac{m_1g}{m_2g}. \quad (3)$$

აյ m_1 თიხურ ქანზე სუფთა წყლით ზემოქმედებისას შთანთქმული ტენის მასაა; m_2 -თიხურ ქანზე ელექტროლიტის ხსნარით ზემოქმედებისას შთანთქმული ტენის მასა.

გარდაქმნების შედეგად მივიღებთ:

$$\frac{m_1}{m_2} = \frac{1}{cos\theta^0}, \quad (4)$$

$$m_2 = m_1 cos\theta^0. \quad (5)$$

ჩვენი მსჯელობის თანახმად, ტენი, რომელიც თიხამ შთანთქა წყალთან კონტაქტის დროს იწვევს თიხის გაჯირჯვებას და წარმოადგენს კაპილარულად შთანთქმული ტენის m_2 და ოსმიურად შთანთქმული ტენის $m_{\text{ოსმ}}$ ჯამს. ამრიგად, თიხური ქანის გაჯირჯვება წყალთან კონტაქტის დროს

$$K_2 = m_2 + m_{\text{ოსმ}}. \quad (6)$$

ოსმიურად შთანთქმული ტენი დამოკიდებულია კაპილარულად შთანთქმული ტენის რაოდენობაზე. დავუშვათ, რომ

$$m_{\text{ოსმ}} = Am_{\beta}, \quad (7)$$

აქედან გამომდინარე

$$K_2 = m_{\beta} + Am_{\beta}, \quad (8)$$

სადაც A კოეფიციენტია, რომელიც აჩვენებს ოსმიურად შთანთქმული წყლის დამოკიდებულებას კაპილარულად შთანთქმულ წყალთან. ეს მაჩვენებელი მუდმივია თიხური ქანის ნიმუშისათვის.

თიხური ქანის გაჯირჯვება წყალთან კონტაქტის დროს

$$K_2 = m_{\beta}(1 + A). \quad (9)$$

ამ დამოკიდებულების მხედველობაში მიღებით მოცემული თიხური ქანის ნიმუშის გაჯირჯვების სიდიდე ელექტროლიტის ხსნართან კონტაქტის დროს გამოისახება ფორმულით:

$$K_{21} = m_{\beta 1}(1 + A). \quad (10)$$

აյ $m_{\beta 1}$ თიხური ქანების ნიმუშის მიერ ელექტროლიტის ხსნართან კონტაქტის დროს კაპილარულად შთანთქმული ტენის რაოდენობაა.

ამრიგად

$$\frac{K_2}{K_{21}} = \frac{m_{\beta}(1 + A)}{m_{\beta 1}(1 + A)} = \frac{m_{\beta}}{m_{\beta 1}}. \quad (11)$$

აქედან

$$K_{21} = \frac{K_2 m_{\beta 1}}{m_{\beta}}. \quad (12)$$

$$(5) \text{ ფორმულის } \text{მხედველობაში \, მიღებით} \, m_{\beta 1} = m_{\beta} \cos \theta^0. \quad (13)$$

ამ გამოსახულების გათვალისწინებით (12) ფორმულა მიღებს ასეთ სახეს:

$$K_{21} = \frac{K_2 m_{\beta} \cos \theta^0}{m_{\beta}}; \quad (14)$$

აქედან

$$K_{21} = K_2 \cos \theta^0. \quad (15)$$

ზემოთ აღნიშნულის მხედველობაში მიღებით შეიძლება ითქვას, რომ თიხური ქანის ნიმუშის გაჯირჯვების სიდიდე ელექტროლიტის ხსნართან კონტაქტის დროს ემორჩილება იმავე კანონზომიერებას, რასაც თიხური ქანის ნიმუშის მიერ ტენის შთანთქმა.

დასკვნა

ამრიგად, ელექტროლიტებით დამუშავებული საბურლი ხსნარების ზემოქმედების შესწავლა თიხური ქანების ნიმუშების გაჯირჯვებისა და ტენშთანთქმის შემცირებაზე გვიჩვენებს, რომ ეს ხსნარები თიხურ ქანებთან ურთიერთქმედებისას იწვევს ამ ქანების ჰიდროფობიზაციას და გაჯირჯვებად თიხურ ქანებში მათი გამოყენებით ჭაბურლილების ბურლვისას შესაძლებელია ჭაბურლილების კედლების მდგრადობის შენარჩუნება.

ლიტერატურა

1. Б. Абесадзе. Бактиомыса и айриш. Физико-химические свойства. Тбилиси: Гидрометиздат, 1993.
2. Булатов А.И., Пеньков А.И., Преселков Ю.М. Справочник по промывке скважин, М.: Недра. 1984.
3. Кулчицкий Л.И. Роль воды в формировании свойств глинистых пород. М.: Недра. 1975.
4. Тарасевич Ю.И., Овчаренко Ф.Д. Адсорбция на глинистых минералах. Киев, «Наукова думка». 1975.
5. Бадовский Н.А. Файман В.П. Борьба с усложнениями при бурении глубоких скважин за рубежом. М. 1986.

ИЗУЧЕНИЕ ВЛИЯНИЯ ИНГИБИРОВАННЫХ БУРОВЫХ РАСТВОРОВ НА УСТОЙЧИВОСТЬ ГЛИНИСТЫХ ПОРОД

РЕФЕРАТИ: При бурении скважин в глинистых породах происходит набухание ствола и потеря устойчивости скважины. Для предотвращения этого процесса применяются ингибиционные буровые растворы, которые могут снизить смачиваемость и влагопоглощение глинистых пород, т.е. набухание этих пород. Объясняется механизм этих явлений и установлено, что величина набухания глинистых пород при контакте с электролитами растворами подчиняется тем же закономерностям, что и в поглощенная образцом масса влаги.

Таким образом, применением буровых растворов, обработанных электролитами, возможно удерживать устойчивость стенок скважины при бурении в глинистых породах.

КЛЮЧЕВЫЕ СЛОВА: буровой раствор; ингибиование; набухание глинистых пород; влагопоглощение.

1. Введение

В Грузии при бурении скважин наиболее распространены те виды осложнений, которые связаны с разрушением устойчивости пород и сужением ствола скважины. К таким осложнениям принадлежат обрушение стенок скважины, набухание глинистых пород. Их образование обусловлено нахождением в геологическом разрезе высококолоидных глин. Для снижения интенсивного перехода разбуруиваемых пород в буровой раствор и повышения устойчивости стенок скважины необходимо применять специальные ингибиционные буровые растворы, в состав которых входят электролиты или полиэлектролиты.

Способность ингибиующего действия электролитов проявляется:

- в снижении поверхности гидратации обменного комплекса глинистых катионов за счет замены наименее гидратированными катионами;

- в перестройке глинистых минералов и предотвращении межплоскостной гидратации;

- в регулировании процессов осмического переноса влаги в раствор за счет удержания более высокой концентрации электролитов, чем имеющейся в разбуруиваемых породах [1, 2]. Но вышеперечисленные механизмы воздействия электролитов на стенки скважины, состоящие из глинистых пород, не могут объяснить такие явления, как удерживание устойчивости натриевых глин в растворе NaCl; разрушение образцов глинистых сланцев и аргиллитов в растворе KCl; разрушение кальциевых глин в воде и.т.д. Осмический перенос возможен только в тех случаях, когда глинистые породы насыщены влагой [3].

2. Основная часть

Из вышеописанного видно, что необходимо определить механизм воздействия электролитных растворов на устойчивость глинистых пород, что в дальнейшем значительно упростит выбор состава бурового раствора для бурения скважин в конкретных геологотехнических условиях. Для этой цели сначала необходимо изучить воздействие воды на глинистые породы. Одним из факторов, который влияет на устойчивость стенок скважины,

является влажность глинистых пород. В это время величины удельной поверхности глинистых минералов значительно различаются друг от друга. Например, для каолинита удельная поверхность составляет $5-15 \text{ м}^2/\text{г}$, а для монтмориллонита $800 \text{ м}^2/\text{г}$. В зависимости от удельной поверхности такие же соотношения имеют величины набухания обводненных глинистых породы. Для снижения прочности аргиллитов малой удельной поверхности достаточно 10% -ной влажности массы пород.

Вода проникает в глинистые породы проникает через поры и микротрещины. Среди микроагрегатов существующие поры имеют значительно большие объемы, которые не заполнены водой. Поэтому повышение влажности в породе вызывает снижение ее прочности, что зависит от величины заполнения этих пор водой.

При бурении скважин в породах появляются микротрещины, в это время увеличивается влажность глинистых пород и растет набухание стенок скважины. Набухание является основной причиной пептизации глинистых агрегатов, который подготавливают их к переходу в суспензионное состояние [4]. Всасывание является капиллярным механизмом, который обеспечивает проникновение растворов в поры, что вызывает снижение связи между частицами. В открытых порах всасывание происходит под влиянием капиллярных сил, а в закрытых порах всасывание развивается под воздействием адгезионного давления.

Капиллярное давление определяется с помощью формулы

$$P = \frac{2\sigma_{12}}{h} \cos\theta^0, \quad (1)$$

где σ_{12} - поверхностное натяжение фильтрата раствора; θ^0 - угол смачивания; h - ширина капилляра.

Таким образом, для одной и той же породы для снижения капиллярного давления необходимо увеличение θ^0 и снижение σ_{12} .

Допустим, что при контакте с водой глинистые породы полностью смачиваются, т.е. $\theta^0 = 0$ и $\cos\theta^0 = 1$, тогда

$$P = \frac{2\sigma_{12}}{h}. \quad (2)$$

В воде при добавлении электролитов, при всех других равных условиях, поверхностное натяжение увеличивается незначительно, поэтому

$$\sigma_{121} = \sigma_{122}.$$

Как известно, капиллярная сила F равна

$$F = PS \text{ и } F = mg,$$

где P -капиллярное давление, МПа; S -площадь контакта влаги с глинистой породой, м^2 ; m -масса поглощенной влаги при воздействии раствора на глинистую породу, кг; g -ускорение силы тяжести, $g = 9,81 \text{ м}/\text{с}^2$.

Отсюда

$$\frac{PS}{P_{max}Scos\theta^0} = \frac{m_1g}{m_2g}. \quad (3)$$

Здесь m_1 - масса поглощенной влаги при воздействии чистой воды на глинистую породу; m_2 - масса поглощенной влаги при воздействии электролитного раствора на глинистую породу.

Таким образом после превращения получим

$$\frac{m_1}{m_2} = \frac{1}{\cos\theta^0}, \quad (4)$$

отсюда

$$m_2 = m_1 \cos\theta^0. \quad (5)$$

Влага, которую глина поглощает при контакте с водой, вызывает набухание пород и представляет сумму капиллярно поглощенной влаги m_k и осмически поглощенной влаги m_{oc} . Таким образом, набухание глинистых пород при контакте с водой равно

$$K_2 = m_k + m_{oc}. \quad (6)$$

Оsmически поглощенная влага зависит от количества капиллярно поглощенной влаги. Допустим, что

$$m_{oc} = Am_k, \quad (7)$$

отсюда

$$K_2 = m_k + Am_k, \quad (8)$$

где А-принятый коэффициент, который показывает зависимость осмически поглощенной воды с капиллярно поглощенной водой; этот показатель является постоянным для образца глинистой породы, тогда набухание глинистых пород равно

$$K_2 = m_k(1 + A). \quad (9)$$

Из этой зависимости величина набухания глинистых пород при контакте с электролитным раствором выражается формулой

$$K_{21} = m_{k1}(1 + A). \quad (10)$$

Здесь m_{k1} -количество поглощенной влаги образцом глинистой породы при контакте с электролитным раствором.

Таким образом

$$\frac{K_2}{K_{21}} = \frac{m_k(1 + A)}{m_{k1}(1 + A)} = \frac{m_k}{m_{k1}}. \quad (11)$$

Отсюда

$$K_{21} = \frac{K_2 m_{k1}}{m_k}. \quad (12)$$

Принимая во внимание (5), получим:

$$m_{k1} = m_k \cos\theta^0. \quad (13)$$

Согласно этому выражению (12) примет такой вид:

$$K_{21} = \frac{K_2 m_k \cos\theta^0}{m_k}. \quad (14)$$

Отсюда

$$K_{21} = K_2 \cos\theta^0. \quad (15)$$

Таким образом, величина набухания образца глинистой породы при контакте с электролитным раствором подчиняется тем же закономерностям, что и масса поглощенной влаги образцом глинистой породы.

3. Выводы

Изучение воздействия буровых растворов, обработанных электролитами, на снижение набухания и влагопоглощения образцов глинистых пород, показывает, что эти растворы при

взаимодействии с глинистыми породами вызывают их гидрофобизацию, и применение этих растворов для бурения скважин в набухающих глинистых породах повышает устойчивость стенок скважины.

Литература

1. ბ. აბესაძე. ნავთობისა და აირის ჭაბურღილების ბურღვა. თბილისი: განათლება, 1993.
2. Булатов А.И., Пеньков А.И., Проселков Ю.М. Справочник по промывке скважин. М.: Недра, 1984.
3. Кулчицкий Л.И. Роль воды в формировании свойств глинистых пород. М.: Недра, 1975.
4. Тарасевич Ю.И., Овчаренко Ф.Д. Адсорбция на глинистых минералах. Киев: Наукова думка, 1975.
5. Бадовский Н.А. Файман В.П. Борьба с осложнениями при бурении глубоких скважин за рубежом. М., 1986.

ნიციფრირებული აღმოსავლეთი სტრუქტურაზე ფაბულულების ბურლვის დროს არსებული გეოლოგიური გართულებების ანალიზი და მასთან ბრძოლა

წარდგენილია საინჟინრო აკადემიის საპატიო აკადემიკოსის ი. გოგუაძის მიერ

რეზერვი: ნინოვმინდის აღმოსავლეთ სტრუქტურაზე თიხიან შრეებში ჭაბურლილების ბურდებისას გვხვდება შემდეგი სახის გართულებები: ლუელის შევიწროება და კედლების ჩამონგრევა, რაც იწვევს, ხშირ შემთხვევაში, საბურლი იარაღის ჩაჭერებს. ამ ფართობზე გართულების თავიდან ასაცილებლად საჭიროა ინგიბირებული საბურლი ხსნარების შერჩევა. რეკომენდებულია პოლიმერულკალიუმიანი საბურლი ხსნარები და ნახშირწყალბადებიან ფუქეზე, აუცილებელია შემუშავდეს მათი ეფექტური შედგენილობები, რათა მათმა გამოყენებამ საგრძნობლად შეანციროს ჭაბურლილის მშენებლობის ხარჯები.

საკვადო სიტყვები: გეოლოგიური გართულება; კონგლომერატები; არგილიტები; კარბონატული თიხები.

1. შესავალი



ა. ჭიჭინაძე,
შპს „Georgia-Canargo“-ს
გენერალური დირექტორი

საქართველოს მირითადი ნავთობ-გაზშემცველი ზონები თავმოყრილია აჭარა-თრიალეთის ნაოჭა ზონის აღმოსავლეთ დაბოლოებაზე. მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიულია მანავის მოედანი, რომლის სალიცენზიო ფართობი 45 კვ.კმ შეადგენს. იგი მდებარეობს თბილისიდან აღმოსავლეთ მიმართულებით 60 კმ-ზე და, ნავთობგეოლოგიური თვალსაზრისით, ეკუთვნის თბილისისპირა ნავთობგაზიან რაიონს, წარმოადგენს რა სამგორი-პატარძეული-ნინოწმინდის ნავთობის საბადოების აღმოსავლეთ გაგრძელებას.

2. მირითადი ნაწილი

მანავის სტრუქტურა წარმოადგენს სუბგანედური მიმართების პრაქიანტიკლინს, რომლის სიგრძე 18 კმ-ია, სიგანე 6 - კმ. შპს „კანარგო ჯორჯიამ“ 2001-2006 წლებში აქ გაბურლა ორი ღრმა ჭაბურლილი (№№11 და 12) ზედაცარცულ ნალექებში გაზისა და ნავთობის ბუდობის დაძიების და სტრუქტურის გეოლოგიური აგებულების დაზუსტების მიზნით. ამ ჭაბურლილების გეოლოგიური ჭრილი აქ ასეთია:

0-300 მ - ქვედა პლიოცენი (მეოტურ-პონტური) – კონგლომერატები, კარბონატული თიხები, პოლიმიქტური ქვიშაქვები ალევროლიტების შუაშრებით და ლინზებით;
300-1900 მ - ზედა სარმატი – ზედა ნაწილში (300-1200 მ) კონგლომერატები, თიხები, ქვიშაქვები, იშვიათად ალევროლიტები; შუაში (1200-1500 მ) - თიხები ალევროლიტების

და ქვიშაქვების იშვიათი შუაშრეებით; ქვედა ნაწილში (1500-1900 მ) – თიხების, ქვიშაქვების და ალევროლიტების მორიგეობა;

1900-3820 მ – შუა სარმატი – კარბონატული თიხები და მერგელოვანი ალევრიტული თიხები ალევროლიტების, ქვიშაქვების, იშვიათად (ზედა ნაწილში) კონგლომერატების შუაშრეებით;

3820-3980 მ – მაიკოპი (ოლიგოცენ-ქვედა მიოცენი) - არაკარბონატული თიხები და არგილიტები ალევროლიტების იშვიათი შუაშრეებით;

3980-4125 მ – ზედა ეოცენი: ა) 3980-4050 მ – თბილისის კუმულიტებიანი წყება – ბენტონიტური და არგილიტისებრი თიხები ქვიშაქვებისა და ალევროლიტების შუაშრეებით; ბ) 4050-4150 მ – ნავთლუდის წყება – არგილიტისებრი თიხები, კარბონატული თიხები ქვიშაქვების და ალევროლიტების შუაშრეებით; 4100-4150 მ – ლიროლებისანი ჰორიზონტი - კარბონატული თიხები, გრაუვაკური ქვიშაქვები, ტუფოქვიშაქვები, ტუფომერგელები, ტუფოკირქვები;

4125-4430 მ – შუა ეოცენი – ანდეზიტური და ანდეზიტურ-დაციტური ტუფები ტუფოკირქვების და ტუფოთიხების იშვიათი შუაშრეებით;

4430-4495 მ – ქვედა ეოცენი – თიხები ტუფების (ინტერვალის ზედა ნაწილში), ტუფოარგილიტების და ტუფოალევროლიტების შუაშრეებით;


4495-4545 მ – პალეოცენი – მოყავისფრო-შინდისფერი, იშვიათად მონაცრისფრო-მომწვანო თიხები და არგილიტები;

4545-5109 მ – ზედა ცარცი – ზედა ნაწილში (4550-4850 მ) კირქვები და თიხიანი მერგელები, ქვედაში (4850-5100 მ) – ტუფები კირქვების იშვიათი შუაშრეებით.

აღნიშნულ სტრუქტურაზე ბურღვის დროს აღინიშნებოდა სხვადასხვა სახის გართულებები, რომლებიც ძირითადად დაკავშირებული იყო ტექტონიკური რღვევების ზონებთან. ჭრილში სავარაუდოდ შეინიშნება 4-5 ტექტონიკური რღვევის ინტერვალი.

ბურღვის თვალსაზრისით, განსაკუთრებით დიდი სირთულეები აღინიშნებოდა შუასარმატულ, მაიკოპურ და ზედაეოცენურ თიხიან შრებში. ეს ქანები ხასიათდება მაღალი რეაქციულობით საბურღვი ზენარის ფილტრატთან მიმართებაში და დაბალი სიმდგრადით. სირთულეები გამოიხატება, ძირითადად, ჭაბურღილის ლულის ხშირ შევიწროებასა და კედლების ჩამონგრევაში, რასაც მეტწილად თან ახლავს საცირკულაციო წნევების გაზრდა და სარეცხი სითხის შთანთქმა, რაც თავისთავად ხშირად იწვევს იარაღის ჩაჭერებს. აღნიშნული სახის ავარიებისა და გართულებების ლიკვიდაცია დაკავშირებულია დიდ ხარჯებთან, რაც საბოლოოდ განაპირობებს ჭაბურღილის მშენებლობის პროცესის დროისა და თვითღირებულების მნიშვნელოვან გაზრდას [1].

აღნიშნული გართულებების თავიდან ასაცილებლად სხვადასხვა მეთოდი არსებობს. სპეციალისტების ერთი ჯგუფის თვალსაზრისით, აღნიშნულ გართულებებთან საბრძოლველად საჭიროა საბურღვი ზენარის წყალგაცემის შემცირება და ჰიდროსტატიკური წნევის მნიშვნელოვანი გაზრდა ჭაბურღილის ლულაში, რათა შეიქმნას ჭარბი წნევა ლულიდან ფენის მიმართულებით. აღნიშნული მეთოდი ფართოდ იყო გამოყენებული აღრინდელ პერიოდში. მაგ., ნინოწმინდის ფართობზე, ანალოგიურ ფენებში ბურღვისას, უმეტეს შემთხვევაში, გამოყენებული იყო საბურღვი



ხსნარები 1,9 გ/სმ³, ზოგიერთ შემთხვევაში - 2,05 გ/სმ³ სიმკვრივის მქონე საბურლი ხსნარები, თუმცა აღნიშნული ჭაბურლილები იბურლებოდა დიდი გართულებით და ხანგრძლივი დროის განმავლობაში. სპეციალისტების მეორე ჯგუფის მოსაზრებით, რომელსაც მხარს უჭერენ სტატიის ავტორები, აღნიშნული მეთოდი ამართლებს მხოლოდ დროის მოკლე პერიოდში, სულ რამდენიმე (4-5) დღე, რის შემდეგაც გართულებები უფრო მძიმდება, ვინაიდან ჭაბურლილის ლულაში პიდროსტატიკური დაწოლის მნიშვნელოვნად გადამეტება ფენის წნევასთან მიმართებაში იწვევს საბურლ ხსნარში არსებული ფილტრატის უფრო ღრმა შეღწევას თიხიან ფენებში. ეს გარემოება თავისთავად თიხების გაჯირჯვებას განაპირობებს ლულიდან ქანის სიღრმეში, რის შედეგადაც ჭაბურლილის ლულა გარკვეული დროის შემდეგ ჰარგავს მდგრადობას და უფრო მეტად რთულდება. არსებულ მოსაზრებას აძლიერებს ის გარემოება, რომ 1990-იანი წლების დასაწყისიდან, იგივე ნინოწმინდის ფართობზე ჭაბურლილების ბურლვის დროს აღნიშნულ ფენებში გამოყენებული იყო გაცილებით დაბალი სიმკვრივის მქონე ხსნარები - 1,28-დან 1.55 გ/სმ³-მდე, რის შედეგადაც ჭაბურლილების მშენებლობა დასრულდა გაცილებით უფრო მაღე და ნაკლები გართულებით. აღნიშნული მეთოდი არ გამოიყენება იმ ჭაბურლილებში, სადაც ფენის წნევები მაღალია და ადგილი აქვს გამოვლინებებს, მაგ., ნინოწმინდის საბადოს ჩრდილოეთი ფრთა, სადაც ფენის წნევის გრადიენტები მაღალია. აგრეთვე, მაგალითისთვის თუ შევადარებთ მანავის ფართობზე გაბურლულ №№11 და 12 ჭაბურლილებს, ადვილად შევამჩნევთ, რომ №12 ჭაბურლილი გაცილებით ნაკლები გართულებით იბურლებოდა, ვინაიდან ბურლვისას გამოყენებული იყო გაცილებით დაბალი სიმკვრივის საბურლი ხსნარი ნავთობის ფუძეზე [1,2].

ზემოთ აღნიშნული მიუთითებს, რომ აღნიშნული პრობლემა კომპლექსურ მიდგომას საჭიროებს. ყურადღება უნდა მიექცეს საბურლი ხსნარის მეტ ინპიბირებას და არა სიმკვრივის გაზრდას. ნავთობის ფუძიანი ხსნარის გამოყენების უპირატესობა, არსებულ პოლიმერულ ხსნართან შედარებით, აღნიშნული ფენების ბურლვისას, ეჭვს არ იწვევს, მაგრამ ამ უკანასკნელის ხარჯი გაცილებით მეტია, ვიდრე პოლიმერული ხსნარისა. ამასთანავე, არსებობს მისი უტილიზაციის პრობლემა. აქედან გამომდინარე, აქტუალურია ისეთი ახალი ტიპის ხსნარების ან ინპიბიტორების შემუშავება, რომლებიც ნაკლებად რეაქციული იქნებოდა თიხიან ფენებთან მიმართებაში, რაც, თავისთავად, მნიშვნელოვნად შეამცირებდა ჭაბურლილის მშენებლობასთან დაკავშირებულ ხარჯებს [3].

3. დასკვნა

რთულ გეოლოგიურ პირობებში აუცილებელია ბურლვის რეჟიმისა და ხსნარის პარამეტრების მკაცრი კონტროლი, რათა დროულად დაფიქსირდეს შექმნილი მდგომარეობა, ვინაიდან თუ პროფილაქტიკური ზომები დროულად არ გატარდა, მისი შემდგომი გართულება უსათუოდ ავარიას გამოიწვევს.

ლიტერატურა

1. ი. გოგუაძე. ნავთობისა და გაზის ჭაბურლილების ბურლვის ტექნიკა და ტექნოლოგია. თბილისი, 2004 წ. 514 გვ;

2. Г. И. Делдусенко, В.И. Иваников, М.И. Липкес. Буровые растворы смалим содержанием твердой фазы. М. Недра. 1985 г. 158 стр;
3. К.В. Иогансен. Спутник буровика; М.: Недра, 1998 г. 290 стр.

UDC 622.24.442

A. Chichinadze

GEOLOGICAL COMPLICATIONS ANALYSIS AND FIGHT AGAINST THEM WHILE DRILLING IN NINOTSMINDA EAST STRUCTURE

Presented by I. Goguadze, prof., Academician of the Georgian Academy of Engineering

SUMMARY: In Ninotsminda eastern structure the following complications occur while drilling in clayey layers: narrowing of the shaft and wall fault. They often cause drilling tool stickings. To prevent the complications it is necessary to apply inhibited drilling muds. Polymere calcium drilling muds and fluids on the hydrocarbon bottom have been recommended. It is necessary to work out their effective compositions in order to reduce considerably the costs of well hole construction.

KEY WORDS: geological complications; conglomerates; argillites; carbonate clays.

1. Introduction

Main oil-gas-bearing zones in Georgia are located in the Achara-Trialeti folding zone eastern ending. Most prospective among them is Manavi area with its license territory of 45 km². It is located 60 km east from Tbilisi and belongs to Tbilisi adjacent region, from oil and gas geology viewpoint, representing an eastern continuation of Samgori-Patardzeuli-Ninotsminda oil fields.

2. The Body


The Manavi structure itself is a brachyanticline of sublatitudinal direction with its length of 18 km and width 6 km. In 2001-2006, CanArgo Georgia drilled two deep wells (M11 and M12) in Upper Cretaceous reservoir with the purposes to explore oil and gas deposit and specify its geological structure. According to these wells, geological section here is as follows:

| | |
|------------|--|
| 0-300m | Lower Pliocene (Meotian-Pontian); konglomerates, carbonate clays, polymictic sandstones with siltstone interlayers and lenses. |
| 300-1900m | Upper Sarmat; conglomerates, clays, sandstones, rare siltstones in the upper section (300-1200m); clays with rare siltstone and sandstone interlayers in the middle section (1200-1500m); clays, sandstone and siltstone sequence in the lower section (1500-1900m). |
| 1900-3820m | Middle Sarmat; carbonate clays and marl aleuronic clays with siltstone, sandstone and rarely (in the upper section) conglomerate interlayers. |

| | |
|------------|--|
| 3820-3980m | Maikop (Oligocene-Lower Miocene); non-carbonate clays and mudstones with siltstone interlayers. |
| 3980-4125m | Upper Eocene; a) 3980-4050m – Tbilisi cumulate section – Bentonite and argillite-type clays with sandstone and siltstone interlayers; b) 4050-4150m – Navlugi section – argillite-type clays, carbonate clays with sandstone and siltstone interlayers; 4100-4150m – Lyrolepise horizon – carbonate clays, greywacky sandstones, tuff-sandstones, tuff-marls, tuff-limestones. |
| 4125-4430m | Middle Eocene; andesitic and andesitic-dacitic tuffs with rare tuff-limestone and tuff-clay interlayers. |
| 4430-4495m | Lower Eocene; clays with tuff (upper part of the interval), tuff-mudstone and tuff-siltstone interlayers. |
| 4495-4545m | Paleocene; brownish-cherry, rarely grayish-greenish clays and mudstones. |
| 4545-5109m | Upper Cretaceous; limestones and clayey marls in the upper section (4550-4850m), and tuffs with rare limestone interlayers in the lower section (4850-5100m). |

Various complications, mainly associated with the tectonic fault zones, were observed during drilling this structure. Presumably there are around 4-5 tectonic fault intervals identified here. From drilling point of view, significant complications were observed during drilling clays of Middle Sarmat, Maikop and Upper Eocene, high reactivity against drilling mud filtrate and low stability as well are characteristic for these layers. Complications are basically revealed in hole frequent narrowing and wall sloughing, which in most cases are accompanied by circulation pressure increase and loss of drilling mud, leading to drilling string stuck. Elimination of such complications and accidents are connected with significant costs eventually causing extension of the drilling terms and significant increase in the primary cost.

There are several methods to avoid the above complications. One group of specialists believes that it is necessary to reduce drilling mud fluid loss and hydrostatic pressure significant increase in the wellhole in order to create an excess pressure from wellhole towards the formation. This method was widely used in the past. For instance, drilling mud densities mostly used during drilling above formations in Nintominda field were 1,9 g/cm³ and even 2,05 g/cm³ in some cases. However, the above mentioned wells were drilled with significant complications and took quite a long time. The second group of specialist think (this approach is supported by the article authors), that the mentioned method works for a just short period (during 4-5 days) and then the complications become grave, the hydrostatic pressure significant excess in the well hole over the formation pressure causes deep penetration of the drilling mud filtrate into the clayey zones. It causes swelling of clays from the well deeply hole towards rocks. After certain period of time it leads to stability loss and gets more complicated. This approach is supported by the evidence, that since early 1990, mud densities used in drilling the same Ninotsminda field formations were far lower (from 1,28 g/cm³ to 1,55 g/cm³) and led to less drilling time and less complications. This method is not used in the wells with high formation pressures and kicks, for example, Ninotsminda North Flank, where the formation pressure gradients are high enough. Also, if we compare t wells M11 and M12 drilled in Manavi field we will easily notice, that M12 well was drilled with less complications since the mud used here was of oil-based one of lower density on the oil bottom. (1,2) .



Hence this problem needs more complex approach and more attention rather than to the increase of mud density. Privilege of oil-based mud over polymere mud in drilling above mentioned formations is not under suspect, but it is more expensive than polymere mud. Besides, there is a problem related to its utilization. Hence it is very important to work out such new muds or inhibitors, that will be less reactive to the clayey reducing the costs relatto to well drilling construction.

3. Summary

From the mentioned above we can draw a conclusion that in complicated geological conditions it is necessary to provide strict controlling regime and drilling mud parameters in order to fix timely the created situation since if preventive measures are not taken timaly its further complication may lead to same accident.

ლიტერატურა


1. о. გოგუაძე. ნავთობისა და გაზის ჭაბურღილების ბურღვის ტექნიკა და ტექნოლოგია. 2004 წ. 514 გვ;
2. Г. И. Делдусенко, В.И. Иваников, М.И. Липкес. Буровые растворы смалим содержанием твердой фазы. М. Недра. 1985 г. 158 стр;
3. К.В. Иогансен. Спутник буровика; М.: Недра, 1998 г. 290 стр.

საბურლი ხსნარის შთანთქმა ფაბურლილების ბურლვისას გაზგამოვლინებების ბრძოლის დროს

რეზერატი: გაზგამოვლინებებთან ბრძოლის დროს ხშირად ადგილი აქვს ფენის ჰიდროგახლებას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს საბურლი ხსნარის შთანთქმა. ამ მოვლენის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია წარმოებელების ჭაბურლილზე მოქმედი წნევების კონტროლი და რეგულირება. ასევე განსაკუთრებული იყო საჭირო პრევენციული სისტემების დათვალიერება და შემოწმება.

საკვამო სიტყვები: შთანთქმები, ჰიდრავლიკური გახლება, გაზის დასტები, განვლადობა, ჭაბურლილის რადიუსი.

1. შესავალი



ირაკლი გოგუაძე,
საინჟინრო აკადემიის საპატ-
ოო აკადემიკოსი, სტუ-ს „ჭა-
ბურლილების ბურლვის ტექ-
ნიკისა და ტექნოლოგიის“ მი-
მართულების ხელმძღვანელი,
ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტორი,
სრული პროფესიონი

საბურლი ხსნარის შთანთქმებს შე-
საძლოა ადგილი ექნეს ფენების ჰიდრავ-
ლიკური გახლების დროს ან გასაბურლ
ჭრილში (ინტერვალში) არსებული მაღა-
ლი შეღწევადობის (განვლადობის), უმე-
ტესად დაბალი წინაღობის ფილტრაციის
მქონე კავერნული ან ნაპრალოვანი ფენე-
ბის არსებობით. ორივე შემთხვევაში შთან-
თქმების წარმოქმნისათვის საჭიროა გარ-
კვეულ წნევათა სხვაობის არსებობა ჭაბუ-
რლილსა და ფენებს შორის. ამასთან, ფე-
ნის ჰიდროგახლების დროს მყარდება გა-



ვალერი ხითარიშვილი,
საქართველოს სანუქინრო აკა-
დემიის წევრ-კორესპონდენტი;
ტექნ. მეცნ. დოქტორი; სტუ-ს
„ჭაბურლილების ბურლვის ტექ-
ნიკისა და ტექნოლოგიის“ მიმა-
რთულების ასოციაციული
პროფესიონი

ცილებით ნაკლები შთანთქმითი წნევა, ვიდრე ფენში ნაპრალების
წარმოქმნისას.

2. ძირითადი ნაწილი

განვიხილოთ შთანთქმის პროცესის ზოგიერთი თავისებურებები, რომელიც წარმოიქმნება გაზგამოვლინებასთან ბრძოლის დროს. დავუშვათ, გაზგამოვლინების დროს ჭაბურლილის მიღა-
რე როლურ სივრცეში წარმოიქმნა გაზის დასტები, რომლებიც უნდა ამოვიდეს ამორეცხვის პროცესში ზედაპირზე, ერთ-ერთი ცნობილი მეთოდით. შთანთქმის წარმოშობის დიდი ალბათობა არსებობს, განსაკუთრებით, საწყის მომენტში ცირკულაციის აღდგენის შემდეგ, როცა გაზი ჯერ კიდევ იმყოფება სანგრევის მახლობლობაში, რადგან სწორედ ამ პერიოდში ჭაბურლილის კედელზე წნევა იზრდება მაქსიმალურ სიდიდემდე [1-3].

საბურღი ხსნარის შთანთქმის სქემა, რომელიც შეესაბამება მის საწყის პერიოდს გამოსახულია 1-ლ ნახ-ზე. ხსნარის ხარჯი გაზის დასტებს ქვემოთ ტოლია ტუმბოების მიწოდების Q სიდიდისა. გაზის დასტის ზემო, ზედა საზღვრიდან შთანთქმის ზონამდე ინტერვალში ხსნარის ხარჯი განსხვავდება ტუმბოს მიწოდების სიდიდისაგან და განისაზღვრება ფორმულით:

$$Q_B = u_B F, \quad (1)$$

სადაც u_B ზედა საზღვარზე ხსნარის ან გაზის (ამ შემთხვევაში ხსნარის) სიჩქარეა; F - განივცეთის ფართობი.

შთანთქმის გამო საბურღი ხსნარი ნაწილობრივ ან მთლიანად მიდის ფენში, ამიტომ ზოგად შემთხვევაში, ადგილი ექნება შემდეგ ტოლობას:


$$Q_B = Q_1 + Q_2, \quad (2)$$

სადაც Q_1 შთანთქმის დებიტია; Q_2 -საბურღი ხსნარის ხარჯი, შთანთქმის ზონის ზემოთ.

შთანთქმული ხსნარის მოძრაობა ფენში მოცემულ პირობებში ატარებს არასტაციონარულ ხასიათს. სიმარტივისათვის დაკუშვათ, რომ შთანთქმის დებიტი აღიწერება დამოკიდებულებით

$$Q_1 = \frac{2\pi k h}{\mu} \frac{P_c - P_g' - P_\tau}{\ln(1 + \sqrt{\frac{\pi c t}{r_c^2}})}, \quad (3)$$

სადაც k შთანთქმის ფენის შეღწევადობაა (განვლადობა); h - ფენის სიმძლავრე; μ - შთანთქმული სითხის სიბლანტე; P_c - წნევის სიდიდე ჭაბურღილში; P_g' - ფენის წნევის სიდიდე შთანთქმულ ზონაში; P_τ - დამატებითი წნევის სიდიდე τ ; შთანთქმის დრო; r_c - ჭაბურღილის რადიუსი [14,15].



ნახ. 1. საბურღი ხსნარის შთანთქმის პროცესის სქემა გაზგამოვლინებასთან ბრძოლის დროს

წნევის სიდიდე ფენის შთანთქმის ინტერვალში

$$P_c = P_y + \rho g H + P_{k\Pi}, \quad (4)$$

სადაც P_y წნევის სიდიდეა ჭაბურღილის პირზე; H - შთანთქმის სიღრმის სიდიდე; $P_{k\Pi}$ -ჰიდრავლიკური წინააღმდეგობის სიდიდე რგოლურ სივრცეში.

თავის მხრივ

$$P_y = Q_2^2 \rho / 2\varphi^2 f^2, \quad (5)$$

$$P_{k\Pi} = \lambda D Q_2^2 \rho H / \pi^2 (D-d)^3 (D+d)^2, \quad (6)$$

(3) – (6) ფორმულების გათვალისწინებით გვექნება შემდეგი გამოსახულება:

$$u_B F = \frac{2\pi k h}{\mu} \times \\ \times \frac{\frac{Q_2^2 \rho}{2\varphi^2 f^2} + \rho g H + \lambda \frac{8Q_2^2 \rho H}{\pi^2 (D-d)^3 (D+d)^2} - \rho'_{\Pi} - \rho_{\tau}}{\ln \left(1 + \sqrt{\frac{\pi \chi t}{r_c^2}} \right)} + Q_2 \quad (7)$$

და ზედა საზღვარზე გაზის სიჩქარე

$$u_B = \frac{Q}{F} + u_B \frac{\frac{L_{3, \Gamma} \rho_{3, \Gamma}}{2g(D-d)} \left[1 + \lambda \frac{u_B^2}{2g(D-d)} \right]}{\rho g \left[L_1 + \lambda \frac{u_B^2 L_1}{2g(D-d)} + \frac{u_B^2 F^2}{2g\varphi^2 f^2} \right]^2}. \quad (8)$$

(7) და (8) განტოლებათა სისტემები მთლიანად აღწერს საბურლი წსნარის შთანთქმის პროცესს, გაზგამოვლინების წინააღმდეგ ბრძოლის დროს.

განვიხილოთ კონკრეტულ მაგალითზე ზოგიერთი მოვლენის მიმდინარეობის პრინციპული თავისებურება და მისი ზოგიერთი შესაძლო ვარიაციები. დავუშვათ, გამოვლინება ზასიათდება შემდეგი საწყისი მონაცემებით. სიღრმე $L_f = 4000$ მ; $L_{\delta, \eta} = 100$ მ; $P_{\delta, \eta} = 51,5$ მპა; $\rho_1 = 1,24$ გ/სმ³; $P_2 = 1,36$ გ/სმ³; $P_3 = 54$ მპა; $Q = 24$ ლ/წმ; $D = 243$ მმ; $d = 141$ მმ.


დავუშვათ, მდორედ ჩახშობის პროცესში გაზის ზედა საზღვრის 2250 მ სიღრმეზე მოხდა საბურლი წსნარის შთანთქმა (შთანთქმის ზონის სიღრმე 1800 მეტრია, რომელშიც ფენის წნევის სიდიდე აღწევს 19 მპა). საბურლი წსნარის შთანთქმამ შესაძლოა სხვადასხვა ინტენსიურობა გამოიწვიოს, რაც დამოკიდებულია ფენის მახასიათებლებზე, თვით საბურლი წსნარის თვისებებზე, წნევათა სხვაობაზე და სხვა მიზეზებზე. აღვნიშნოთ მე-3 განტოლებაში სიდიდეთა ერთობლიობა η-თი და ვუწოდოთ მას შთანთქმის ინტენსიურობის კოეფიციენტი. გავაანალიზოთ ჩახშობის პროცესი η შემდეგი სიდიდეების დროს: 170, 230 და 270 მ³/ (დღე-ღამე.მპა).

$$\frac{2\pi k h}{\mu} \frac{1}{\ln \left(1 + \sqrt{\frac{\pi \chi l}{r_c^2}} \right)} = \eta \quad (9)$$

საბურლი წსნარის შთანთქმის გამო წნევის მნიშვნელობა ჭაბურლილის პირზე მიღვარე სივრცეში მკეთრად დაცემა (ნახ. 2, a). წნევის დაცემა განპირობებულია საბურლი წსნარის რაოდენობის შემცირებით. ამგვარად, წნევის დაცემის სიდიდე დამოკიდებულია საბურლი წსნარის შთანთქმის ინტენსივობაზე.

ჭაბურლილის პირზე წნევის დაცემა თავისთავად იწვევს სანგრევზე წნევის შემცირებას (ნახ. 2, b) უფრო მეტად, ვიდრე წნევა, რომელიც სანგრევზე გაანგარიშებით მიიღება $P_{\delta, \eta}$. და

უზრუნველყოფს მოცემულ უკუწნევას პროდუქტიულ ფენზე. ამრიგად, მოცემულ შემთხვევაში სანგრევზე წნევის სიდიდე ეცემა უფრო დაბლა, ვიდრე ფენის წნევაა.



ნახ. 2. წნევის ცვალებადობის გრაფიკი ჭაბურღილის პირზე ა) და სანგრევზე ბ) საბურღი წსნარის შთანთქმის დროს

ჭაბურღილის პირზე და, მაშასადამე, ჭაბურღილის სანგრევზედაც წნევის აღდგენისათვის საჭიროა გავზარდოთ ჰიდრაულიკური წინაღობა შტუცერზე. ეს კი შესაძლებელია თუ შევამცირებოთ მის გამავალ განივევეთს, მაგრამ ჭაბურღილის პირზე წნევის გაზრდა გამოიწვევს შთანთქმული სითხის რაოდენობის გაზრდას, როდესაც $\eta = 170 \text{ } \text{m}^3/(\text{დღ-ლამე.მპა})$, მაშინ წნევის სიდიდე აღდგება სათანადო გაანგარიშების საფუძველზე, როდესაც შტუცერის განივევეთის ფართობი ტოლი გახდება $0,6 \text{ } \text{m}^2$, ამ დროს, რადგან შთანთქმის დასაწყისში შტუცერის განივევეთის ფართობი შეესაბამებოდა $2,6 \text{ } \text{m}^2$ -ს, შთანთქმული სითხის რაოდენობა მატულობდა $11,6$ -დან $18,9 \text{ } \text{ლ}/\text{წ-მდე}$. თუ $\eta = 230 \text{ } (\text{მ}^3/\text{დღ-ლამე.მპა})$, მაშინ შტუცერის მთლიანად დაკეტვისას წნევა ჭაბურღილის პირზე არ აღდგება საწყის სიდიდემდე, რომელიც შეესაბამება შთანთქმის წარმოქმნის მომენტს, ამასთან, შტუცერის განივევეთის ფართობის შემცირებით $0,6 \text{ } \text{m}^2$ -მდე. სანგრევზე შესაძლოა მივიღოთ სანგრევის წნევა $52 \text{ } \text{მპა}$, ე.ი. უფრო მაღალი, ვიდრე ფენის წნევაა, რაც საშუალებას მოგვცემს გავაგრძელოთ ამორცულების პროცესი, თუმცა შემდგომში ალბათ, ფენის წნევა განმეორებით გახდება უფრო მაღალი, ვიდრე სანგრევის წნევაა. როდესაც $\eta = 270 \text{ } \text{m}^3/(\text{დღ-ლამე.მპა})$, სანგრევის წნევა რჩება უფრო დაბალი, ვიდრე ფენის წნევაა იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც შტუცერის მთლიანად დაკეტავთ. აქედან გამომდინარე, გამოვლინებებთან ბრძოლის გაგრძელება ჩვეულებრივი მეთოდით უკვე შეუძლებელია, რადგან აღგილი აქვს საბურღი წსნარის სრულ შთანთქმას. ამ შემთხვევაში შესაძლოა ეფექტური აღმოჩნდეს ჩახშობა მცირე წნევით, რომლის დროს ნაწილი წნევის სიდიდისა მოიხსნება ჭაბურღილის

კედლებიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვეულებრივ, გატარდება ზომები ხსნარის შთანთქმის ინტენსიურობის შესამცირებლად.

საზღვარგარეთის პრაქტიკაში ფართოდ გავრცელებულია ქვედა გამოვლინების ზონის ოზოლაციის ხერხი ბარიტული საცობების მოლექვის მეშვეობით. ყოველივე ამის შემდეგ შთანთქმებთან ბრძოლა მნიშვნელოვნად იოლდება.

შთანთქმის წარმოქმნის მომენტიდან ირლვევა დაბალანსებული ტოლობა საბურღ მიღებში განვითარებულ წნევასა და მიღვარე რგოლურ სივრცეში მოქმედ წნევას შორის შტუცერამდე. მთლიანი შთანთქმის დროს ირლვევა წნევის მართვის შესაძლებლობა ჭაბურღილში, შეუძლებელი ხდება ასევე ჭაბურღილის რეალური წნევების ინტერპოლაცია ზედაპირზე არსებული წნევების მიხედვით. შტუცერის მთლიანად დაკეტვის შემდეგ წნევის სიდიდე საბურღ მიღებში და ჭაბურღილის პირზე არ იცვლება. გარკვეული დროის გასვლის შემდეგ შესაძლებელია შენიშნული იქნეს წნევის გაზრდა მიღვარე რგოლურ სივრცეში გაზის ამოსვლის შედეგად. ყოველივე ეს დასტურდება სათანადო ანალიტიკური კვლევების საფუძველზე.

დალიან ხშირად საბურღი ხსნარის შთანთქმა, გაზგამოვლინებებთან ბრძოლის დროს წარმოქმნის შიგა ამოსროლას. ამ დროს გაზი ან სხვა ფლუიდი დაკეტილი ჭაბურღილის პირის შემთხვევაში მიეწოდება ფენიდან ანომალურ წნევით შთანთქმელ ფენში. გადინების მიმართულება შეიძლება იყოს როგორც ქვემოდან ზემოთ, ასევე ზემოდან ქვემოთ. ძალზედ საშიშია ამოსროლა ზემომდებარე ფენებიდან, რადგანაც გაზრდილ დატვირთვას განიცდის ჭრილის ზემომდებარე პორიზონტები. ასეთ პირობებში შესაძლოა ადგილი ექნეს გრაფონების წარმოქმნას, რომლებთანაც ბრძოლა მართლაც ძალიან მნელია.

სხვადასხვა ჭაბურღილებში საბურღი ხსნარის შთანთქმებს აქვს თავისებურებები, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მიღებული გადაწყვეტილებები უნდა ეფუძნებოდეს ბურღვის პირობებს, რომლებიც შესწავლილი უნდა იქნეს ცალკეულ სიტუაციაში. თუ შთანთქმა საწყის მომენტში ნაწილობრივია, მაშინ საჭიროა მიღებულ იქნეს ყოველგვარი ზომები მისი აღმოფხვრისათვის. ამავე დროს ცირკულაციის შენარჩუნებასთან ერთად, უნდა ხორციელდებოდეს გაზგამოვლინებასთან ბრძოლა.

საბურღი ხსნარის შესვლა ფენში და შთანთქმა შესაძლოა შემცირებულ იქნეს ჭაბურღილის პირზე წნევის შემცირებით, რაც თავისთავად შეამცირებს უკუწნევის სიდიდეს პროდუქტულ ფენზე. ამ დროს აუცილებელია სწორად შეფასდეს მაქსიმალურად დასაშვები წნევათა სხვაობის სიდიდე სანგრევზე. ზოგიერთი პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე შესაძლოა წნევათა სხვაობის სიდიდე სანგრევისა და ფენის წნევებს შორის 0,7 მპა-მდე შემცირდეს.

3. დასკვნა

1. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ჭაბურღილში როგორც საბურღ მიღმიგა სივრცის წნევის სიდიდის P_{θ} , ასევე მიღვარე სივრცის წნევის სიდიდის P_{θ} კონტროლი;

2. სათადარიგო ავზები აუცილებლია შეივსოს საბურღი წენარის საკმარისი რაოდენობით, რომლის საშუალებით მოხდება ჭაბურღილის შევსება საბურღი იარაღის ამოღების დროს. ეს პროცესი ხორციელდება ავტომატურად;
3. საჭიროა ჭაბურღილის პირის დათვალიერება და შემოწმება სისტემატურად. განსაკუთრებით უნდა გაკონტროლდეს პრევენტორული სისტემები.

ლიტერატურა

1. о. გოგუაძე, თ. ტურიაშვილი. გამრეცხი საბურღი წენარები. მეთოდური მითითებები. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 1999 წ., 40 გვ.
2. о. გოგუაძე. ექსპერიმენტის დაგეგმვა და მათემატიკური მოდელირება (ნავთობისა და გაზის მრეწველობაში). საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 2003. 332 გვ.
3. В. Д. Шевцов. Регулирования давления в бурящихся скважин. Изд.: «Недра», 1984 г. 190 стр.

УДК 622.24

И. К. Гогуадзе, В. Э. Хитаришвили

ПОГЛОЩЕНИЕ БУРОВОГО РАСТВОРА ПРИ БОРЬБЕ С ГАЗОПРОЯВЛЕНИЯМИ

РЕФЕРАТ: При борьбе с газопроявлением часто имеет место гидроразрыв пласта, это может вызвать поглощение бурового раствора. Для предотвращения этого явления необходимо контролировать и регулировать давление в скважине. В то же время требуется осматривать и проверять превенторные системы.

КЛЮЧЕВЫЕ СЛОВА: поглощени; гидравлический разрыв; газовые пачки; проницаемость; радиус скважины.

1. Введение

Поглощение бурового раствора может быть обусловлено гидравлическим разрывом пластов или наличием в проходимом разрезе высокопроницаемых, большей частью трещиноватых или кавернозных пластов с небольшим сопротивлением фильтрации. В обоих случаях для возникновения поглощения необходим определенный перепад давлений между скважиной и пластом. Причем, при гидроразрыве установившееся давление поглощения значительно меньше первоначального давления образования трещины.

2. Основная часть

Рассмотрим особенности протекания поглощения, возникшего во время борьбы с газопроявлением. Пусть в результате проявления в кольцевом пространстве скважины

образовалась пачка газа, которая должна быть вымыта на поверхность одним из известных методов. Возникновение поглощения наиболее вероятно в первые моменты после восстановления циркуляции, когда газ еще находится вблизи от забоя, так как именно в этот период давление на стенки скважины возрастает до максимальной величины [1-3].

Схема процесса поглощения промывочной жидкости, соответствующая его начальному периоду, изображена на рис. 1. Расход раствора ниже пачки газа равен величине подачи насосов Q . Выше пачки газа в интервале от ее верхней границы до зоны поглощения расход раствора отличается от величины подачи насосов и определяется формулой

$$Q_B = u_B F. \quad (1)$$




Рис. 1. Схема процесса поглощения бурового раствора при борьбе с газопроявлением

Вследствие поглощения буровой раствор частично или полностью уходит в пласт. В общем случае имеем

$$Q_B = Q_1 + Q_2, \quad (2)$$

где Q_1 — дебит поглощения; Q_2 — расход бурового раствора выше зоны поглощения.

Движение поглощаемого раствора в пласте при рассмотренных условиях имеет явно нестационарный характер. Для простоты допустим, что дебит поглощения описывается зависимостью

$$Q_1 = \frac{2\pi k h}{\mu} \frac{p_c - p_{\text{пл}} - p_{\tau}}{\ln \left(1 + \sqrt{\frac{\pi x t}{r_c^2}} \right)}, \quad (3)$$

где k - проницаемость поглощающего пласта; $-h$ - мощность пласта; μ - вязкость поглощаемой жидкости; p_c - давление в скважине; $p_{\text{пл}}$ - пластовое давление поглощающего пласта, равное контурному для неэксплуатированного объекта; p_t - дополнительное давление на преодоление сил пластичности поглощаемого бурового раствора; t - время; r_c – радиус скважины.

Давление в скважине в интервале поглощающего пласта определяется выражением

$$p_c = p_y + \rho g H + p_{\text{к.п.}}, \quad (4)$$

где: p_y - давление на устье скважины; H - глубина интервала поглощения; $p_{\text{к.п.}}$ - гидравлическое сопротивление в кольцевом пространстве. В свою очередь,

$$p_y = Q_2^2 \rho / \varphi^2 f^2, \quad (5)$$

$$p_{\text{к.п.}} = \lambda 8Q_2^2 H / \pi^2 (D - d)^3 (D + d)^2. \quad (6)$$

С учетом формул (3) — (6) запишем выражение:

$$u_B F = \frac{2\pi k h}{\mu} \times \frac{\frac{Q_2^2 \rho}{2\varphi^2 f^2} + \rho g H + \lambda \frac{8Q_2^2 \rho H}{\pi^2 (D - d)^3 (D + d)^2} - \rho'_{\text{пл}} - \rho_t}{\ln \left(1 + \sqrt{\frac{\pi \chi t}{r_c^2}} \right)} + Q_2. \quad (7)$$

Скорость верхней границы газа

$$u_B = \frac{Q}{F} + u_B \frac{L_{3.г} \rho_{3.г} \left[1 + \lambda \frac{u_B^2}{2g(D-d)} \right]}{\rho g \left[L_1 + \lambda \frac{u_B^2 L_1}{2g(D-d)} + \frac{u_B^2 F^2}{2g\varphi^2 f^2} \right]^2}. \quad (8)$$

Система уравнений (7) и (8) полностью описывает явление поглощения бурового раствора во время борьбы с газопроявлением.

